შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთი

IBSU გაზეთი

www.ibsu.edu.ge

IBSU Media Centre/
IBSU TV & Radio IBSU

ყოველსემესტრული გაზეთი N14

ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია IBSU-ში

გვ 3

გარემოს გამწვანების ყოველწლიური ტრადიცია IBSU-ში

გვ 2

სტუდენტური დასაქმება IBSU-ში

გვ 5

ინტერვიუ მაია ჩქოტუასთან

გვ 8

ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია IBSU-ში

გვ 9

ფოტორეპორტაჟი

გვ 6-7

კორეული კულტურის ფესტივალი IBSU-ში

გვ 3

მობილობა IBSU-ში

გვ 2

საინტერესო და პრაქტიკაზე ორიენტირებული პროგრამა

გვ 4

სპორტსიახლენი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

გვ 10

რატომ IBSU-ს მენეჯმენტის პროგრამა?

ნინი კესარელი



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა განსაკუთრებული მოთხოვნით გამოირჩევა აბიტურიენტებს შორის,მოთხოვნის ინტერესიდან გამომდინარე ჩვენი რესპონდენტი მაკა ბუღულაშვილია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი.

რა არის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მთავარი მიზანი?

პროგრამები არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული აბიტურიენტებსა და სტუდენტებში, ამას ჩარიცხვების მაღალი მაჩვენებელიც მოწმობს.

ჩვენ გვაქვს ქართულ-ინგლისურ ენოვანი განახლებული პროგრამები,რომელშიც ჩართული არიან პროფესიონალები,მუდმივად ხდება პროგრამის განახლება, უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ეს არის,რაც უზრუნველჰყობს მაღალ ხარისხს.

რა აკადემიურ და სოციალურ აქტივობებს სთავაზობს უნივერსიტეტი სტუდენტებს?

აკადემიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ლექციების ჩატარების ხარისხი, რაზეც უნივერსიტეტი და ხარისხის მართვის სამსახური ზრუნავს,აქედან გამომდინარე ლექციები აკადემიური მხარის წარმატებული აქტივობაა,სოციალური მხარე კი განსაკუთრებით აქტიური,თუნდაც კლუბები,რომელშიც ჩართული არიან სტუდენტები.

კომპანიებთან ურთიერთობაც სოციალური აქტივობის ნაწილია,ჩვენ უზრუნველვყოფთ სტუდენტების კავშირს კომპანიებთან, რათა წინასწარ იცოდნენ რა პროფესიას ეუფლებიან.

რა პრივილეგიებით სარგებლობენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები, სხვა უნივერსიტეტებისგან განსხვავებით?

პირველ რიგში, შავი ზღვის უნივერსიტეტი, როგორც კერძო, უკვე დიდი გამოცდილების უნივერსიტეტია, და როდესაც ქართულ ბაზარზე ჯერ კიდევ არ იყო კერძო უნივერსიტეტები, ჩვენ ვარსებობთ 1995 წლიდან,ბევრი უპირატესობა აქვს იბსუს, მაგრამ მთავარი სოციალური გარემოა, რადგან ძალიან საინტერესოდ შეუძლიათ სტუდენტებს დროის გატარება, რადგან, როდესაც სრულდება ლექციები ვუყურებ, რომ ბავშვები არ მიდიან სახლში,ეზოს აქტივობებიც ძალიან საერთაშორისოა, ვინაიდან 14 ქვეყნიდან სწავლობენ სტუდენტები ჩვენს უნივერსიტეტში.

უზრუნველყოფს თუ არა უნივერსიტეტი,სტუდენტების დასაქმებას?

დასაქმების სამსახურის მონაცემებით ჩვენი სტუდენტების 90% არის დასაქმებული 3-4 კურსიდან,ცალკე განყოფილება გვაქვს უნივერსიტეტში, რომელიც მუშაობს სტუდენტების დასაქმებაზე კარიერის განვითარების სამსახური,პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად.

გაცვლით პროგრამებზე რას გვეტყვით?

გაცვლით პროგრამებზე ცალკე განყოფილება მუშაობს, როგორც ერასმუსის ასევე დამატებით პროგრამების ფარგლებში,ევროპის,აზიის ქვეყნებში გვყავს პარტნიორი უნივერსიტეტები,ჩინეთი საფრანგეთი,გერმანია,ესპანეთი... ასევე პოლონეთთან ვართ განსაკუთრებით მჭიდრო კავშირში, ასე რომ გაცვლითი პროგრამებიც შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ.

არის თუ არა ეს ზემოთ ხსენებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი აბიტურიენტებისთვის?

ძალიან აქტიური პიარის სამსახური გვაქვს, მოწესრიგებული ვებ-გვერდი,ყოველკვირეული ღია კარის დღეები, ასე რომ ნამდვილად ხელმისაწვდომია,ასევე პროგრამის ხელმძღვანელებიც მზად ვართ სურვილის შემთხვევაში პირადი ინდივიდუალური ვიზიტებიც მოვაწყოთ აბიტურიენტებთან.

მობილობა IBSU-ში

მარიამ მხეიძე

იბსუ-ში ისევე, როგორც ყველა უნივერსიტეტში არის ორი სახის მობილობა, შიდა და გარე.

იბსუ-ს ხარისხის მმართველი ქალბატონი ქეთევან ნანობაშვილი საუბრობს მიზეზებზე თუ რატომ უნდა აირჩიონ იბსუ.



• იბსუ-ში შესაძლებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღება;
• იბსუ-ს კურსდამთავრებულებს გააჩნიათ ყველა საჭირო უნარ-ჩვევა , რომელიც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.
• იბსუ-ს აქვს ორმაგი დიპლომის აღების შესაძლებლობა;
• იბსუ-ში ასწავლიან ადგილობრივი და უცხოელი მაღალკვალიფიციური პროფესორები, ასევე პრაქტიკოსი სპეციალისტები.

მობილობის განხორციელება შესაძლებელია უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, რაც შეეხება შიდა მობილობას ყველა სტუდენტისთვისარისხელმისაწვდომი.

შიდა მობილობისთვის მხოლოდ ორი საბუთია საჭირო განაცხადი და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების დასტური.

გარე მობილობის შემთხვევაში სტუდენტებს არ აქვთ არანაირი შეზღუდვა შიდა გრანტთან დაკავშირებით, მათ ისევე,როგორც აბიტურიენტებს შეუძლიათ თავისუფლად ისარგებლონ იბსუს 50, 40 და 20%-იანი გრანტებით, რომლის მოპოვება სტუდენტებს ონლაინ გამოცდის საშუალებით შეუძლიათ. გარე მობილობის შემთხვევაში შედარებით მეტი საბუთია საჭირო. კონკრეტული საბუთები კი შეგიძლიათ იხილოთ იბსუ-ს ვებ გვერდზე **ibsu.edu.ge**

რა საკვირველია იბსუ-ში მობილობით შეუძლიათ ასევე ისარგებლონ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა.

სტუდენტებს არც დარჩენილი საგნების შემთხვევაში ექმნებათ პრობლემა,მათ თავისუფლად შეუძლიათ ხელმეორედ აირჩიონ ის საგნები და გააგრძელონ სწავლა. ჩვენ ასევე ვესაუბრეთ გარე

მობილობით გადმოსულ სტუდენტს იბსუ-ში. ანი მაზიაშვილი, რომელიც ჩვენს რამდენიმე კითხვას პასუხობს:

1.რატომ იბსუ?

-2018 წელს გავედი იბსუ-ს ოლიმპიადაზე და ავიღე 50 პროცენტიანი გრანტი. ჩემს ცხოვრებაში ეს იყო პირველი წარმატება და მივხვდი, რომ ჩემი შრომა რაღაც მხრივ დამიფასდა, ესე,რომ ვთქვათ - ,,კენწეროში გატკბილდა" ნამდვილად. შესაბამისად ამ უნივერსიტეტზეც გარკვეული წარმოდგენები შემექმნა, მომეწონა გარემო და ხალხი, რომელიც იქ დამხვდა. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე ჩამებარებინა ამ უნივერსიტეტში, თუმცა 2018 წელს პრობლემები შეექმნა და ვეღარ მოვახერხე იქ ჩაბარება. სამწუხაროდ იმედი გამიცრუა იმ უნივერსიტეტმა, რომელზეც არჩევანი იბსუ-ს შემდეგ შევაჩერე. ამიტომ მობილობა გადავწყვიტე. არჩევანი რა თქმა უნდა იბსუ-ზე შევაჩერე. რატომღაც ყოველთვის ვგრძნობდი, რომ აქ უნდა დავბრუნებულიყავი და ზუსტად აქ ვიგრძნობდი, ცხოვრების იმ ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელ ეტაპს, რომელსაც ,,სტუდენტობა" ჰქვია.

2. რამდენად გაგიმარტივდათ მობილობის გაკეთება?

-მობილობის,სიმართლე, რომ გითხრათ მეშინოდა. ეს პროცესი მეგონა, რომ დიდ ხანს გაგრძელდებოდა და მეზარებოდა კიდეც ამხელა ცვლილების გაკეთება. საერთოდ მარტივად ვერ ვახორციელებ ცვლილებებს და ამიტომაც მიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა. თუმცა იმაზე ფიქრი, რომ დროს ტყუილად ვკარგავდი, ვერ ვვითარდებოდი და ვსწავლობდი იმას, რაც ჩემი არ იყო, ამ ყველაფერმა მიბიძგა ამ ცვლილებისკენ.საბედნიეროდ მობილობა საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა. მივწერე აწ უკვე ყოფილ უნივერსიტეტს რომ მობილობას ვაკეთებდი და მისვლაც არ დამჭირვებია. ასევე ელექტრონულად მოხდა საბუთების გაგზავნა და პროგრამის ხელმძღვანელთან კონტაქტიც. სხვათა შორის ძალიან გამიკვირდა, როდესაც, თვითონ დამიკავშირდა პროგრამის ხელმძღვანელი, დამირეკა და ყურადღებით მოეკიდა ჩემი მათ უნივერსიტეტში გადასვლის საკითხს. მივხვდი, რომ აქ კიდევ უფრო თბილი და სტუდენტებსა და ლექტორებს შორის მეგობრული ურთიერთობებით სავსე გარემო იქნებოდა. იმედები არც გამცრუებია.

3. გაამართლა თუ არა იბსუ-მ თქვენი იმედები?

-იმედები როგორც აღვნიშნე გაამართლა. იმდენად დაღლილი ვიყავი წინა უნივერსიტეტში არსებული პრობლემებით, რომ ყველაფერი იდეალურად მომეჩვენა. ყოველ შემთხვევაში იმ პრობლემებს არ წავაწყდი რაც იქ, ყოფილ უნივერსიტეტში იყო და აქ დავისვენე. ხარვეზები და რაღაც გამოსასწორებელი ყველგან არის, თუმცა როგორც აღვნიშნე ეს მინიმალურია იმასთან შედარებით, რაც იქ იყო.

4. ჩაგითვალეს თუ არა საგნები, რომლებიცსხვაუნივერსიტეტშიგაიარე?

-იქიდან გამომდინარე, რომ მე სხვა პროგრამაზე ვსწავლობდი, შეძლებისდაგვარად არჩევითი საგნები და საფაკულტეტო სავალდებულო საგნები რაც იყო ჩამითვალეს. სავალდებულოები პირველი კურსის საგნებიც გავიარე და ნელ-ნელა პროგრამის ხელმძღვანელის დახმარებით მონაცვლეობით გავდიოდი და გავდივარ მეორე და მესამე კურსის საგნებსაც.

5. რას ურჩევდი იმ სტუდენტებს, რომლებიც იბსუ-ში მობილობით გადმოსვლას აპირებენ?

-ვურჩევდი, რომ პირველ რიგში კარგად შეისწავლონ ის გარემო, ფაკულტეტი და პროგრამა, რაზეც აპირებენ გადმოსვლას. იბსუ-ში ვიგრძენი სტუდენტობა. ამას ყოველთვის ვიტყვი და გავუსვამ ხაზს. დანარჩენი მათზეა დამოკიდებული, რამდენად უნდათ იმის სწავლა რასაც აირჩევენ და თუ რაღაც მაინც არ მოეწონებათ, ეს უნივერსიტეტი მზად არის ყველაფრის ნელ-ნელა გამოსწორებისთვის და სტუდენტებისთვის ჰარმონიული გარემოს შექმნისთვის.

6. ადამიანების ნაწილი ფიქრობს, რომ მობილობა უაზროდ წლის დაკარგვაა, რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

-როდესაც სწავლობ იმას, რაც არ მოგწონს ეს მიმაჩნია დროის კარგვად. მთავარია დროზე გაანალიზო, რომ შენი არ არის, ის რასაც სწავლობ, იცი რომ ფულს ყრი უბრალოდ და ვერ გამოიყენებ მომავალში. მობილობა და იმის პოვნა, რაც შენია, რაც გაინტერესებს, გზრდის და გსიამოვნებს ყველანაირად, ამისთვის ღირს,თუნდაც პირველი კურსიდან ყველაფრის თავიდან დაწყება. ასე რომ სწავლაში დრო არასდროს იკარგება. მთავარია იცოდე რა გინდა და იპოვო ის, რაც შენ საკუთარი თავის აღმოჩენაში დაგეხმარება.

იბსუ-ს მობილობით ძალიან ბევრი სტუდენტი სარგებლობს ისევე ,როგორც შიდა, ასევე გარე მობილობითაც. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ვფიქრობ 18 წლის მოზარდს არ აქვს წინასწარ განსაზღვრული რა უნდა მას სამომავლოდ და შესაძლოა მათი უნივერსიტეტში იმ წელსვე ჩაბარება იყოს მშობლების ახირების ბრალი, რადგან არსებობს სტერეოტიპი, რომ ყველა აბიტურიენტმა აუცილებლად უნდა ჩააბაროს იმ წელსვე, აბიტურიენტებსაც უწევთ ჩააბარონ იმ ფაკულტეტზე, რომელიც შეიძლება სამომავლოდ საერთოდ არ გამოადგეთ, შესაბამისად მობილობა არის სწორედ ის გამოსავალი, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს ეძლევათ საშუალება ჩაეთვალოთ ის წლები,რომელიც ჩაბარებიდან მობილობამდე გაიარეს და არ დაკარგონ, ამავდროულად გააგრძელონ სწავლა იმ პროფესიით, რომელიც მათ სამომავლოდ გამოადგებათ.

გარემოს გამწვანების ყოველწლიურ ტრადიცია IBSU-ში

IBSU გარემოს გამწვანების ყოველწლიურ ტრადიციას აგრძელებს. თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, IBSU-ს ადმინისტრაციისა და სტუდენტების ჩართულობით, 50 ძირი კვიპაროსის ხე დაირგო

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა რიგით მე-11 კულტურის ფესტივალს უმასპინძლა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა რიგით მე-11 კულტურის ფესტივალს უმასპინძლა, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის ქართველი და უცხოელი სტუდენტების კულტურული სტენდები. ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილმა სტუდენტებმა შეასრულეს ტრადიციული ცეკვები და მუსიკალური ნომრები, ასევე, სხვა სტუდენტებს გააცნეს ნაციონალური კერძები.

IBSU-ს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის ორგანიზებით, IBSU-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის შუაგულში "მომსახურების სტანდარტების" ტრენინგი ჩატარდა.

გამოცდილმა ტრენერმა თეიმურაზ გოდერძიშვილმა IBSU-ს თანამშრომლებს მომსახურების თანამედროვე სტანდარტები და მათი პრაქტიკაშიგამოყენებისგზებიგააცნო. ტრენინგზე ყურადღება გამახვილდა როგორც თანამედროვე სტანდარტების, ისე კორპორატიული ეთიკისა და გუნდურობის როლზე.

გაცვლითის პროგრამის გამოწვევები IBSU-ში

ეთა სულუხია

„ინფორმაცია გამოცხადებული გაცვლითი პროგრამის შესახებ მივიღე მეილის საშუალებით. მესამე კურსის პირველ სემესტრში უკვე გავემგზავრე ბუდაპეშტში, უნგრეთში, ეტვოშლორანდის უნივერსიტეტში“ - გვიყვება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი, გვანცა ბასილაშვილი.

გვანცა იმ სტუდენტთაგან ერთ-ერთია, რომელსაც საშუალება მიეცა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამით ესარგებლა და წასულიყო საზღვარგარეთ სასწავლებლად. **„ძალიან დასაფასებელია იბსუ-ს ღვაწლი იმაში, რომ გაცვლითი პროგრამით წავედი , მოვახერხე დაფინანსების გაგრძელება კიდევ ერთი სემესტრით და ასევე მოვიპოვე კიდევ ერთი დაფინანსება საზაფხულო სკოლისთვის, რომელიც გერმანიაში ტარდებოდა.“- გვანცა ბასილაშვილი.**

ლიზი კოლბაია, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტია. მანაც კოორდინატორისგან მიიღო მეილზე ინფორმაცია გაცვლითი პროგრამის გამოცხადების შესახებ **„ გასული წლის სექტემბერში წავედი გაცვლითი პროგრამით უნგრეთში, რომელზეც ინფორმაცია ჩვენი კოორდინატორისგან მივიღე“.**

გაცვლითი პროგრამები მართლაც აქტუალური საკითხია ყველა სტუდენტისა თუ აბიტურიენტისთვის. უნივერსიტეტის არჩევისას ამ საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. IBSU-ს კი ნამდვილად აქვს მრავალფეროვანი არჩევანი გაცვლითი პროგრამებისა, ფაკულტეტიდან გამომდინარე. ზოგ ფაკულტეტზე ნაკლები, ზოგზე კი მეტი შესაძლებლობა აქვს სტუდენტს ისარგებლოს ამ შესაძლებლობით. თუმცა საინტერესოა, რამდენად არიან ინფორმირებულები სტუდენტები აღნიშნულ საკითხზე. ამის გასარკვევად ჩავატარე გამოკითხვა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კამპუსში, ასევე ვკითხე სტუდენტებს, იცოდნენ თუ არა **iro.ibsu.edu.ge-ს** (გვერდი, სადაც იდება იბსუ-ში არსებული გაცვლითი პროგრამები) შესახებ. „გაცვლითი პროგრამების მხრივ ძალიან მცირე ინფორმაცია მაქვს, შეიძლება ითქვას საერთოდ არ ვიცი ამ საკითხთან დაკავშირებით ვის უნდა მივმართო ან რა გაცვლითი პროგრამები აქვს ამჟამად უნივერსიტეტს. ხოლო რაც შეეხება იმ საიტს, რაც შენ ახსენე აქამდე არ მსმენია მსგავსი საიტის შესახებ და არც ამ მხრივ ვარ ინფორმირებული.“ - გვიყვება, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი, ქეთი ახალბედაშვილი. სამართლის პროგრამის მეორე კურსის სტუდენტთა ნაწილი კი ამბობს, რომ **„ ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე ღია კარის დღეზე მივიღეთ, თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა ისე, რომ მხოლოდ პოლონეთში არის გაცვლითი პროგრამა სამართლის სტუდენტებისთვის...საიტს რაც შეეხება, ფაკულტეტების მიხედვით არ არის დაყოფილი გაცვლითი პროგრამები, რაც ცოტა გაურკვევლობას იწვევს ჩვენში.“**

სტუდენტთა დიდი ნაწილისთვის საიტი, რომელშიც იწერება გაცვლით პროგრამებზე სიახლეები ადვილად აღქმადი და პრაქტიკული არ არის, თუმცა ნაწილი თვლის, რომ იგი სულაც არ წარმოადგენს სირთულეს ინფორმაციის მოძიების პროცესში. **„შეხება მქონდა აღნიშნულ საიტთან, და ტექნიკურად საკმაოდ გამართული ჩანდა. ასევე ვნახე რომ არის შემოთავაზებები სტუდენტებისთვის, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას ფიქრობენ...“**- გვიყვება გვანცა ბასილაშვილი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს მემორანდუმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან აქვს გაფორმებული. მისი პარტნიორებია ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, საფრანგეთი, ჩინეთი, მონაკო, იტალია, საბერძნეთი, გერმანია... მიუხედავად ქვეყნების მრავალფეროვანი ჩამონათვალისა ამ ეტაპზე გაცვლითი პროგრამები გამოცხადებული აქვთ მხოლოდ რამდენიმე ფაკულტეტზე-ბიზნესი, არქიტექტურა, კომპიუტერული მეცნიერებები, მენეჯმენტი, სამწუხაროდ, ჩამონათვალში არ გვხვდება ჟურნალისტიკა, სამართალი , ტურიზმი...

ქვეყნების გარდა, რომელთანაც მემორანდუმი აქვს უნივერსიტეტს გაფორმებული, საკმაოდ დიდი არჩევანია გაცვლითი პროგრამების, რომელთაგან უმრავლესობა მხოლოდ სწავლის თანხას ფარავს, მაგრამ არის ისეთი პროგრამებიც, რომლებიც სრულად აფინანსებს ყველა ხარჯს. „გაცვლით პროგრამაში ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება. 3 ტიპის გაცვლითი პროგრამა გვაქვს: ერასმუს + ყველა ხარჯი დაიფარება და გექნებათ სტიპენდია მასპინძელ ქვეყანაში ცხოვრებისთვის. ბილეტარული სწავლის საფასურს არ იხდით მასპინძელ ქვეყანაში თქვენ უნდა დაფაროთ თქვენი მგზავრობის, განსახლების და სხვა ხარჯები. ვირტუალური გაცვლითი, რომელიც უფრო აქტუალური გახდა პანდემიის დროს. ლექციებზე დასწრება ხდება ონლაინ. ვირტუალური გაცვლითის ფარგლებში ვთანამშრომლობთ უკრაინის ალფრედ ნობელის უნივერსიტეტთან და ასევე, დეუსტოს უნივერსიტეტთან, ესპანეთი.“ - გვაწვდის ინფორმაციას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო ოფისის ასისტენტი, მედინა ოზლამი -მამედოვი.

მიუხედავად, გაცვლითი პროგრამების არსებობისა, სტუდენტთა დიდ ნაწილს ინფორმაცია სრულად არ მიეწოდება, იგზავნება მეილებზე, იწერება საიტზე, თუმცა არა ამომწურავად და გასაგებად. თუ გინდა ინფორმაცია მიიღო, უნდა იჯდე კომპიუტერთან მთელი დღე და ადევნო თვალი როდის რა დაიდება, თუ ინფორმაცია გამოგრჩა თვალთახედვის არეალიდან, მაშინ ერთი შანსი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა უკვე დაკარგე. პასუხს კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება სტუდენტებმა მიიღონ სწორი და ამომწურავი ინფორმაცია, მხოლოდ ერთს გეტყვით ,თვალი ადევნეთ გვერდს iro.ibsu.edu.ge-ს ან ეწვიეთ საერთაშორისო ურთიერთობების ოფისს.

ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია IBSU-ში

ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია IBSU-ში ამერიკის ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა გახსნა

როგორც საქართველოში აშშ-ს ელჩმა განაცხადა, წლებია ამერიკის საელჩო და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი პარტნიორები არიან, რათა განავითარონ ამერიკის მცოდნეობის პროგრამა საქართველოში.

მე-13 საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია

IBSU-ს განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლის ორგანიზებით ჩატარდა მე-13 საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლების, ენისა და ლიტერატურის საკითხებზე კონფერენცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მკვლევრებს, პრაქტიკოსებს, პოლიტიკოსებს და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს იმსჯელონ და განიხილონ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები, დაძლიონ გამოწვევები, განვითარდნენ პროფესიულად, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და მოსაზრებები

ყოველწლიურად ჩვენ ვსწავლობთ საერთაშორისო გამოცდილებას - ინტერვიუ ბაია ივანეიშვილთან

ეთა სულუხია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი ბაია ივანეიშვილი საუბრობს იმ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც აბიტურიენტებსა და სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაერკვეს იმ საკითხებში, რომლებიც მომავალი პროფესიის არჩევას გაუადვილებთ და საშუალებას მისცემს მათ მეტი გაიგონ IBSU-ში არსებული პროგრამის შესახებ.

- რომელი საგნებით არის შესაძლებელი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე ჩარიცხვა?

-საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანი გვაქვს არჩევითი საგნების. სტუდენტებს შეუძლიათ პროგრამაზე მოხვდნენ მათემატიკის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების ან გეოგრაფიის ჩაბარების შემთხვევაში.

-ამ საგნებიდან რამდენია სავალდებულო და რამდენი არჩევითი?

-სავალდებულო არის 25 სასწავლო კურსი, რაც ძირითადად მოიცავს დარგის ისტორიას, საგარეო ურთიერთობებს, საქართველოს საგარეო პოლიტიკას. არჩევითი სასწავლო კურსები კი სტუდენტს აძლევს საშუალებას ცოდნა გაიღრმაოს იმ მიმართულებით, რაც მას აინტერესებს.

-ყველა უნივერსიტეტს საგნის არჩევის სხვადასხვა სისტემა აქვს, როგორ ხდება იბსუ-ში საგნის არჩევა და მასზე დარეგისტრირება?

- არსებობს სასწავლო მართვის სამსახური, რომელიც შესაბამის დახმარებას უწევს სტუდენტებს რეგისტრაციის პროცესში.

- დასკვნით გამოცდებზე რას გვეტყვით, როგორ ხდება გამოცდებზე სტუდენტის დაშვება და არის თუ არა ქულების რაიმე ზღვარი?

- არსებობს ქულების გარკვეული ზღვარი. ფინალურ გამოცდამდე სტუდენტმა უნდა მოაგროვოს მაქსიმუმ 60ქულა. ფინალურ გამოცდაზე დასაშვებად კი სტუდენტს სჭირდება მინიმუმ 20 ქულა, რა შემთხვევაშიც ის დაიშვება ფინალურ გამოცდაზე. ფინალური გამოცდის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა მოაგროვოს სულ მცირე 51 ქულა, რათა კურსი ჩაითვალოს დასრულებულად.

- როგორ ხდება სტაჟირების გავლა და ძირითადად რა კრიტერიუმებით ირჩევა კონკრეტული სტუდენტი?

- მეხუთე სემესტრიდან არის შესაძლებელი სტაჟირების გავლა. სტუდენტები სტაჟირების კოორდინატორთან აგზავნიან რეზიუმეებს და ასევე ტრანსკრიპტებს, სადაც ჩანს მათი ქულები. ამის შემდეგ სტაჟირების კოორდინატორი არჩევს კომპანიის წარმომადგენელთან ერთად სტუდენტს. ეს ყველაფერი ძირითადად დამსაქმებელზეა დამოკიდებული.

- ბევრისთვის პრიორიტეტი სტაჟირებასთან ერთად გაცვლითი პროგრამებია, რამდენად ხშირია აღნიშნულ ფაკულტეტზე გაცვლითი პროგრამების გამოცხადება?

-ჩვენს უნივერსიტეტში არის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი, რომელსაც მიმართავს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ნებისმიერი სტუდენტი. მაგალითად, გასული სემესტრიდან ორი სტუდენტი დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ერთი საფრანგეთიდან. განსაკუთრებით პოპულარული ქვეყნებია უნგრეთი, ჩეხეთი, ლატვია, პოლონეთი... -და ბოლოს, მაშინ, როცა სწავლის საფასური შეადგენს 4980ლარს, **რაც მკვეთრად განსხვავდება სხვა უნივერსიტეტებში არსებული გადასახადისგან, რას ვთავაზობთ განსხვავებულს აბიტურიენტებსა და სტუდენტებს?**

-პირველ რიგში, ვთავაზობთ ძალიან ხარისხიან პროგრამას. ჩვენი პროგრამა ახლდება ყოველწლიურად. გასული წლის განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ ისეთი უნივერსიტეტების გამოცდილება, როგორიცაა, იელი, ლონდონის სამეფო კოლეჯი.. დამატებით, ასევე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი სასწავლო პროგრამის მიღმა სტუდენტებს სთავაზობს ძალიან მრავალფეროვან კლასგარეშე აქტივობებს. პროგრამას ასევე აქვს დაფინანსების ბიუჯეტი,სტუდენტებისთვის, რომლებსაც, სურთ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. ამ მხრივ, ჩვენი პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციას.

კორეული კულტურის ფესტივალი IBSU-ში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, კორეული ენისა და კულტურის სტუდენტური კლუბის ორგანიზებით, კორეული კულტურის ფესტივალი გაიმართა. ღონისძიებას დაესწრო საქართველოში სამხრეთ კორეის ელჩი კიმ ტონგ ობ. ასევე, Georgian-Korean Bridge (GKB) წარმომადგენლები.

საინტერესო და პრაქტიკაზე ორიენტირებული პროგრამა

ანი მაზიაშვილი

,,ჩვენი უპირატესობა არის მეტი პრაქტიკული კომპონენტი და მეტი პრაქტიკოსი ლექტორების მიერ შექმნილი შინაარსი" - განაცხადა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა - თამარ კაკუტიამ.

- გამარჯობა ქალბატონო თამარ, მადლობა პირველ რიგში ინტერვიუზე თანხმობისთვის, გვითხარით რით არის ეს პროგრამა გამორჩეული, მაგალითად მე, როგორც აბიტურიენტმა რატომ უნდა ავირჩიო ეს პროგრამა.

- ვფიქრობ პროგრამა საინტერესო და გამორჩეულია იმით, რომ ის ფარავს რამდენიმე მიმართულებას. ისეთი როგორიც არის საჯარო პოლიტიკა, ეკონომიკა და დაფინანსება, სამართალი, ბიზნესი და მთელი რიგი მრავალფეროვანი არჩევითი საგნებია ამათ გარდა. პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, საჯარო სექტორთან ძალიან მჭიდრო კავშირში ვართ. ძირითადად პროგრამის ფარგლებში დასაქმებული აკადემიური პერსონალი ამავდროულად ან არსებული ან ყოფილი საჯარო მოხელეა, რომელიც გარდა თეორიული ცოდნისა, პრაქტიკულადაც აწვდიან იმ გამოცდილებას და იმ ცოდნას, რაც ბევრი წლების განმავლობაში საჯარო სექტორში მუშაობისას დააგროვეს.

- როგორც თქვით, პრაქტიკის მიმართულებაც აქვს ამ პროგრამას, რა პრაქტიკულ საგნებს მოიცავს და თანამშრომლობთ თუ არა სხვადასხვა ორგანიზაციებთან? აქვთ თუ არა სტუდენტებს სტაჟირების საშუალება?

- ერთ-ერთი პროგრამა არის ჩვენი პროგრამა, სადაც სტაჟირება სავალდებულო კომპონენტია. ჩვენ გვაქვს მემორანდუმები გაფორმებული საჯარო სექტორთან. პროგრამის დასაქმების სფერო გახლავთ : საჯარო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები. სტუდენტებს მე-5 სემესტრის შემდეგ აქვთ შესაძლებლობა, რომ წავიდნენ ამ დაწესებულებებში და გაიარონ სტაჟირება. გარდა სტაჟირებისა, საბაკალავრო ნაშრომების დროსაც სტუდენტები პრაქტიკულად სწავლობენ როგორ გააკეთონ კვლევა. ამას გარდა, ჩვენ გვაქვს ისეთი საგნები, როგორიცაა პროექტის მართვა, სადაც თავიდან ბოლომდე სტუდენტები რეალურ პროექტებს გეგმავენ და ახორციელებენ პრაქტიკულად. გარდა იმისა, რომ შინაარსობრივად სწავლობენ, თუ როგორ ხდება პროექტების განხორციელება, კიდევ აიტი მიმართულებით სწავლობენ იმ ტექნოლოგიების, იმ ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი საჯარო მოხელის ჩამოყალიბებაში. წელს მაგალითად სიახლეც გვაქვს ინტერნაციონალიზაციის კუთხით. ახალი არჩევითი საგანიც შემოვიღეთ. ჩვენთან სტუმრად არის და მუშაობს ამერიკის საელჩოს დაფინანსებით ქალბატონი კაილა მაკმილანი, რომელთან ერთადაც უკვე ბოლო სემესტრების სტუდენტებისთვის მოვამზადეთ საბაკალავრო დონეზე ინგლისურენოვანი კურსი - თეზისის წერის მეთოდოლოგია, რომელიც თავიდან ბოლომდე ინგლისურად ისწავლება. ოღონდ ასწავლის პრაქტიკულად. როგორ იწერება პროექტები,თეზისები,როგორშეიძლება საერთაშორისო ბიბლიოთეკების და სხვადასხვა რესურსების გამოყენება.

- აქვე გკითხავთ გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით, იღებენ თუ არა სტუდენტები ამ პროგრამებში მონაწილეობას?

- ყოველ წელს გვაქვს როგორც ერასმუსის, ასევე ჩვენი შიდა უნივერსიტეტთა ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული აქტივობები. აქვე მინდა დავამატო, რომ გაცვლით პროგრამაში არა მხოლოდ სტუდენტები, ასევე ლექტორებიც მონაწილეობენ. პანდემიის დროს ცოტა შეგვიჩერდა, თუმცა დღესდღეობით მეტი აქტივობა შეინიშნება და მომავალშიც მეტ აქტივობას ვგეგმავთ.

- სხვა უნივერსიტეტებისგან რით განსხვავდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არსებული ეს პროგრამა?

- ჩვენი უპირატესობა არის მეტი პრაქტიკული კომპონენტი და მეტი პრაქტიკოსი ლექტორების მიერ შექმნილი შინაარსი.

- ძალიან დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის.

ინტერვიუ IBSU - ს არქიტექტურის პროგრამის ხელმძღვანელთან - გიორგი წანაწყენიშვილთან

ანა ლეჟავა

გიორგი წანაწყენიშვილი, IBSU-ს არქიტექტორის პროგრამის ხელმძღვანელი, გვაცნობს ინფორმაციას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ინგლისურენოვანი არქიტექტურის პროგრამის შესახებ და მოკლედ მოგვითხრობს ამ ფაკულტეტის დადებით მხარეებზე.

-რა არის არქიტექტურის პროგრამის მიზანი.

არქიტექტურის ინგლისურენოვანი პროგრამა, საქართველოს მასშტაბით იყო პირველი, რომელიც გაიხსნა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სრულად დაკომპლექტებული ინგლისურენოვანი საგნებით. პროგრამაში ჩართული არიან ქართველი პედაგოგები,პროფესორ-მასწავლებლები,მოწვეული უცხოელი ექსპერტები და უცხოელი პროფესორებიც. სტუდენტებს აქვთ

საკმაოდ საინტერესო საპროექტო და შემოქმედებითი საგნები,რომლებსაც ისინი თავისი სწავლის პროცესში სხვა და სხვა საფეხურზე ივითარებენ და იღრმავებენ ცოდნას ჩვენს სპეციალობაში. პირველკურსელების

რაოდენობამ ორმოცდაათს გადააჭარბა, სასწავლო ჯგუფებში ხშირ შემთხვევაში ნახევარზე მეტს უცხოელი სტუდენტები შეადგენენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს საგანმანათლებლო ისტორიაში, პრეცედენტი,რომ ინგლისურ ენაზე სრული არქიტექტურული განათლების მიღების შესაძლებლობა ექნება როგორც ქართველ ასევე უცხოელ სტუდენტებს

პრაქტიკული საგნები უფრო ჭარბობს თუ თეორიული?

არქიტექტურა მთლიანობაში მაინც საპროექტო გეგმარებითი და მოცულობითი შემოქმედებითი პროცესია, შესაბამისად პრაქტიკული საგნების რაოდენობა 50%-ზე მეტია, თუმცა ყველა ამ პრაქტიკულ საგანს თან ახლავს თეორიული ნაწილიც, რომელთან ერთად ვიღებთ იმ შედეგს, რომ ისინი ახერხებენ ცალკეული პროექტების, შესრულებას

და კარგი არქიტექტურულ-გეგმარებითი შედეგების მიღწევას.

რას შეიცავს პრაქტიკული საგნები?

პრაქტიკული საგნები არის, დასაწყისში ათვისება იმ უნარ-ჩვევების, რასაც ჰქვია

არქიტექტურული გრაფიკა, არქიტექტურული კომპოზიცია, შემდგომში უკვე, ისინი იწყებენ არქიტექტურული პროექტების კეთებას,არქიტექტურული დაგეგმარების საგნებს და საბოლოო ჯამში ყოველ სემესტრში მათ აქვთ უმნიშვნელოვანესი საგნები, რომლებშიც ჩართული არის მათი უნარები.

რა განვითარებებს გვთავაზობს IBSU ამ სფეროში?

განვითარება არის ის,რომ ისინი უნარ-ჩვევებს ეუფლებიან, არქიტექტურული აზროვნებას სწავლობე,მოცულობითი, კომპოზიციური, გეგმარებითი და ისინი სრულიად თავისუფლად შეძლებენ ჩვენი კურსის დამთავრების შემდეგ შეასრულონ რთული არქიტექტურული პროექტები



-რა ინოვაციურ ტექნოლოგიებს სთავაზობთ მომავალ არქიტექტურის სტუდენტებს?

ინოვაცია არის ის, რომ ჩვენ გვაქვს ტურიზმის კომპონენტი, არქიტექტურის პროგრამა ვითარდება ისე, რომ მასში ჩართულია ასევე ტურიზმის კომპონენტი და ისინი ამით უფრო ხვდებიან რა მნიშვნელობა აქვს არქიტეობიექტს, როგორც უცხოელი ვიზიტორისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელ სანახაობას.

არის თუ არა რაიმე პროგრამა აბიტურიენტებისთვის?

აბიტურიენტებისთვის გვაქვს ძალიან ბევრი პროგრამა,მათ შორის არის „ჩემი პირველი ნაბიჯი არქიტექტურაში", ჩვენი სტუდენტები საქართველოს მასშტაბით სხვა და სხვა სკოლებში ატარებენ ლექციებს, აცნობენ აბიტურიენტებს ჩვენი უნივერსიტეტის სპეციფიკას, თითოეული საგნის ჩატარების იმ უნარებს, რაც მათ სჭირდებათ.

რამდენად მოთხოვნადია არქიტექტურა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში?

ინგლისურენოვანი არქიტექტურა არა მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში, არამედ საქართველოს მასშტაბით ძალიან მოთხოვნადია

IBSU-მ უმასპინძლა დრეზდენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის (HTWD) რექტორს, კატრინ ზალჰერტს, ინფორმატიკის ფაკულტეტის კოორდინატორს, მარიო ნოეგებაუერს და საერთაშორისო ოფისის ხელმძღვანელს, ჯულიანე ტერპეს.

გერმანელი სტუმრები შეხვდნენ IBSU-ს რექტორს, პრორექტორებს, დეკანებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის და საერთაშორისო პროექტების და ინოვაციების სამსახურის ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს. შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები და სამომავლო გეგმები განიხილეს.



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მუსიკალური კლუბი

ანა ლეჟავა

მუსიკა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში ძალიან დიდ როლს ასრულებს, ახალგაზრდებს უმეტესწილად არ აქვთ საშუალება თავიანთი მუსიკალური ნიჭის და სურვილების გამოხატვის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას საგანმანათლებლო პროცესთან ერთად ჩაერთონ მუსიკალურ სამყაროში და მიიღონ სასიამოვნო განტვირთვა და ცოდნა.“ჩვენი მიზანია,მუსიკისათვის მეტი ყურადღების მიქცევა, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია IBSU-ში მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბება და გვინდა, რომ სტუდენტები იყვნენ უფრო ინფორმირებულნი და ჰქონდეთ სურვილი მიიღონ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახალისებასა და მეტი ორიგინალურობის შექმნაში მონაწილეობა“ - ამის შესახებ მუსიკისა და ბენდის კლუბის პრეზიდენტმა,ნინო ციერკიძემ განაცხადა.

12 ივნისს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტად დაინიშნა მუსიკის კლუბის ერთ-ერთი წევრი, როგორც ბასისტი, გიორგი შარაშენიძე აღნიშნავს მუსიკის კლუბის მიერ,ზემოთ ხსენებულის აღსანიშნავად იგეგმება ღონისძიება და დღესაც მიმდინარეობს ამ ღონისძიებებისათვის რეპეტიციები.

IBSU-ში ექვსი სტუდენტური კლუბის ორგანიზებით ჩატარდა პირველი მუსიკალური ფესტივალი, სადაც მუსიკის კლუბიც იღებდა მონაწილეობას, ღონისძიებამ იდეალურად ჩაიარა, უნივერსიტეტის

რექტორი, ბატონი საფეთი აკეთებს კომენტარს მუსიკალური კლუბის შესახებ, აძლევს ინფორმაციას აბიტურიენტებს და სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს იბსუ-ში შიდა ამბების შესახებ

„მუსიკალური კლუბი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც ხორციელდება ჩვენს უნივერსიტეტში, მე ყოველთვის ჩემს გამოსვლებში ხაზს ვუსვამ, რომ სტუდენტმა უნდა შეირგოს სტუდენტური ცხოვრება, ზედმეტი დამატებითი პასუხისმგებლობების გარეშე, მან უნდა შეიგრძნოს სტუდენტური ცხოვრება, მათ შორის არის მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, და სტუდენტის ამ კუთხით უნარ-ჩვევების განვითარება.“ ბატონი საფეთის თქმით, მუსიკალური კლუბის მიზანია სტუდენტებს საშუალება მისცეს თავისი ნიჭის გამოხატვის, თავიანთი ჰობის განვითარების, მათ საშუალება აქვთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიიღონ პრაქტიკა და ცოდნა ამ კუთხით.

IBSU - ში ჩატარებულ თითქმის ყველა ღონისძიებაში მუსიკალური კლუბი იღებს მონაწილეობას, ამ ღონისძიების იდეის ავტორები ისევ სტუდენტები არიან, რომლებმაც ერთად გადაწყვიტეს თავიანთი ნიჭების გაერთიანება და შექმნეს ის ღონისძიებები, რაც აქამდე ჩატარებულა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ხდება აბიტურიენტების ინფორმირებაც, უნივერსიტეტის ვებ-გვედებზე, მათ აქვთ საშუალება გაიგონ IBSU-ს აქტივობებზე, უნივერსიტეტი აბიტურიენტებს უწევს უფასო კონსულტაციებს,როგორც საფეთ ბაირაქთუთანი აღნიშნავს,უნივერსიტეტისგან მუსიკის კლუბს (და არა მხოლოდ), აქვს ძალიან დიდი ხელშეწყობა, „ჩვენ გვაქვს სივრცე გამოყოფილი, რომელიც აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტებით, დღეები და სააათები, რომელიც გამოყოფილია მათი რეპეტიციებისვის, ასევე, ერთ-ერთ გუნდს ჩვენმა უნივერსიტეტმა დაუფინანსა ბათუმში წასვლა, სადაც მათ მიიღეს მონაწილეობა კონკურსში, ამ ყველაფრის ბოლომდე დაფინანსება მოხდა ჩვენგან.“

უნივერსიტეტისგან ყოველთვის გრძნობს მუსიკალური კლუბი გვერდში დგომას და ხელშეწყობას, როგორც ბენდის წევრები ამბობენ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მუსიკის კლუბი სამომავლოდ არაერთ ღონისძიებას გეგმავს, ერთ-ერთი როგორც აღვნიშნე არის ვიცე-პრეზიდენტის დანიშვნის აღსანიშნავი ღონისძიება, 15 ივნისს ჩატარდება, ფრანების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებს მუსიკალური კლუბი.

„პირველ კურსელებს უნივერსიტეტში შემოსვლისას ეცოდინებათ,რომ ჩვენთან სწავლასთან ერთად გართობაც,რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს მუსიკალურ კლუბს.

სტუდენტური დასაქმება IBSU-ში

გიორგი ერაძე

უმუშევრობა დღესდღეობით ერთ-ერთი დიდი პრობლემაა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს აწუხებს.

ხშირად დასაქმებულ ადამიანებს აქვთ მოუქნელი გრაფიკი, არასასურველი პირობები, თუმცა დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ მაინც უწევთ მუშაობა საარსებო მინიმუმის გამომუშავებისთვის. განსაკუთრებით რთულია და პრობლემურია სტუდენტთა დასაქმების საკითხი, რადგან სწორედ მათ სჭირდებათ მორგებული გრაფიკი, რომ სწავლა და სამსახური შეუთავსონ ერთმანეთს და მუშაობის გამო არ მოხდეს მათი სასწავლო პროცესიდან ჩამოშორება.

როდესაც სტუდენტი არის რეგიონიდან, ყველაზე დიდი პრობლემა მაშინ იქმნება, რადგან სწავლის საფასურის გადახდასთან ერთად, აქვთ ყოველდღიური ხარჯები. ასეთ დროს, სტუდენტს სჭირდება მაქსიმალურად მასზე მორგებული სამსახური, რომ საკუთარი თავი მატერიალურად უზრუნველყოს და იყოს ფინანსურად დამოუკიდებელი. სწორედ მსგავსი პირობების არარსებობის გამო, ხშირად სტუდენტები რჩებიან სამსახურის გარეშე და სხვა შემთხვევაში სწავლის გარეშეც კი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საკუთარი სტუდენტების დასაქმებას თავადვე უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ IBSU-ს სტუდენტები სურვილის შემთხვევაში ისევ საკუთარ უნივერსიტეტში საქმდებიან. უნივერსიტეტი მათ სტუდენტობის პერიოდიდანვე აძლევს საშუალებას, რომ მიიღონ სამუშაო გამოცდილებები, რაც მომავალში მათ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სხვაგან დასაქმებაში. ხშირად ცხადდება ვაკანსიები სტუდენტებისთვის და მონდომებულ სტუდენტებს ეძლევათ შანსი დაიწყონ სამსახური საკუთარ უნივერსიტეტში და უზრუნველყონ საკუთარი თავები ფინანსურად. რა თქმა უნდა, სამუშაო გრაფიკი არის მათზე მორგებული და ხელი მაქსიმალურად ეწყობათ სწავლაში ანუ სამსახურის გამო სტუდენტებს არ უწევთ ლექციების გაცდენა, რადგან სწავლაც და მუშაობაც ერთ გარემოში ხდება. სტუდენტს ასევე ხელს ისიც უწყობს, რომ მათი პირველი დასაქმება ხდება ნაცნობ გარემოში და ამით უფრო მეტად არიან ისინი მოტივირებულნი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა თეკლა გვარამიამ საკუთარ დასაქმებაზე IBSU-ში თავად ისაუბრა და ბევრი ფაქტორი აღნიშნა.

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვსწავლობ ჟურნალისტიკის პროგრამაზე. ჩემი არჩევანი IBSU-ზე იმიტომ შევაჩერე, რომ დაფინანსება და კარგი საგრანტო სისტემა აქვთ. რაც შეეხება დასაქმებას, IBSU-ში გამოცხადებული იყო ვაკანსია, სადაც ეძებდნენ სტაჟიორს, მე გავაგზავნე ჩემი რეზიუმე და ამის შემდეგ ამიყვანეს სამსახურში და ახლა ვმუშაობ კურსდამთავრებულთა სამსახურში ასისტენტ-სტაჟიორის პოზიციაზე. გრაფიკი არის მოქნილი და ნამდვილად ჩემზე მორგებული, ამიტომ არ მიწევს ლექციების გაცდენა. IBSU-ში დასაქმება ჩემში ავითარებს კომუნიკაციის უნარებს, რადგან მიწევს ხალხთან ხშირი კონტაქტი (დარეკვა), ასევე ვეჩვევი საქმის დამოუკიდებლად და პასუხისმგებლიანად კეთებას. ჩემსავე უნივერსიტეტში დასაქმების სურვილი კი იმიტომ გამიჩნდა, რომ საკმაოდ დიდ დროს ვატარებდი ყოველდღიურად უნივერსიტეტში და ვფიქრობდი თუ მოსახერხებელი გრაფიკი მექნებოდა დამეწყო მუშაობა. ახლა კი ყველაფერი ერთ გარემოში მაქვს და ხან ლექციების შუალედშიც კი ვმუშაობა“. -ამბობს თეკლა.

როგორც თეკლამ აღნიშნა IBSU მას დაეხმარა დასაქმებაში და ასევე შესთავაზა მოქნილი სამუშაო გრაფიკი, რის გამოც, თეკლა დღესდღეობით მუშაობს და იღებს სამუშაო გამოცდილებას. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბევრ დეპარტამენტში არიან დასაქმებული სტუდენტები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სამუშაო პროცესში და შიდა სამზარეულოს ეცნობიან უკეთ. ანაზღაურება არის მათთვის შესაფერისი და ასევე მათზე მორგებული. სტუდენტები საკუთარ თავში ავითარებენ სხვადასხვა უნარებსა თუ შესაძლებლობებს. მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზებაში. ასევე



შეუძლიათ თავად იყვნენ ჩართულნი ამ აქტივობებში.

IBSU-ში საკუთარ სამუშაო გამოცდილებაზე და პირობებზე ასევე ჩემთან ისაუბრა საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მართვის პროგრამის მეორეკურსელმა სტუდენტმა თათული გენებაშვილმა. „თავდაპირველად IBSU ავირჩიე ჩემს უნივერსიტეტად, რადგან ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია საქართველოში და დასაქმების მაჩვენებელი აქვს 97%,რამაც განაპირობა ჩემი ჩაბარება ამ უნივერსიტეტში. მე ვმუშაობ IBSU-ს პიარისა და მარკეტინგის დეპარტამენტში უმცროსი სპეციალისტის პოზიციაზე, სადაც მოხალიხე მარკეტერის შემდეგ, გავიარე გასაუბრება და ასე დავსაქმდი. გრაფიკი რა თქმა უნდა არის მორგებული, რადგან ვმუშაობ ნახევარ განაკვეთზე. გამოცდილებას რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ ეს სამსახური მომცემს მეტ შანს, რომ სხვაგანაც დავსაქმდე და მომზადებული შევხვდე სხვა ახალ სამსახურს მომავალში, ხოლო დასაქმება ჩემსავე უნივერსიტეტში იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემთვის IBSU-ში არის კომფორტული, მეგობრული და ოჯახური გარემო, რამაც ჩემზე დიდი გავლენა იქონია და ამიტომ გადავწყვიტე აქ მუშაობა“- ამბობს თათული.

IBSU-ს სტუდენტები უმეტესად დასაქმებულნი არიან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის პიარისა და მარკეტინგის დეპარტამენტში. ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობენ და აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საქმიანობაში. რა თქმა უნდა,

ლექციებთან შეთანხმებულად. ამჟამად IBSU-ს პიარისა და მარკეტინგის დეპარტამენტში დასაქმებულია 4 სტუდენტი - „სტუდენტების დასაქმებისას, ვაცხადებთ ვაკანსიას და გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში, იწყებენ ჩვენს დეპარტამენტში მუშაობას. დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და ენის ცოდნას. პიარის დეპარტამენტში დასაქმების შემთხვევაში სტუდენტი უნდა იყოს პასუხისმგებლიანი, ჰქონდეს კრეატიული აზროვნების უნარი, გუნდური მუშაობის უნარი და სხვა. რაც შეეხება მათ გრაფიკს, მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს, რომ ლექციები არ გააცდინონ. თითოეული დასაქმებული სტუდენტის ლექციების განრიგი ვიცი და ისე ვუთავსებ სამუშაო საათებს, რომ ლექციებზე დასასწრებად ხელი არ შეეშალოთ. ჩვენთან მუშაობის შემთხვევაში კი სტუდენტები გამოიმუშავებენ კომუნიკაციის უნარებს, გუნდთან მუშაობის უნარებს, დროის მართვის უნარებს და ბევრ სხვას. დასაქმების დროს ასევე უპირატესობა ენიჭებათ სტუდენტ-მარკეტერებს, რადგან მათი შესაძლებლობები და უნარები უკვე ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ კარგად გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს.“- ამბობს თამარ შოშიაშვილი IBSU-ს პიარისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ერთ გარემოში ჰქონდეთ ლექციები და სამსახური, იყვნენ ფინანსურად დამოუკიდებლები და პირველი კურსიდანვე შეეგუონ სამუშაო გარემოს.

ფოტორეპორტაჟი

ფოტორეპორტაჟი

IBSU ვებომეტრიქსის რეიტინგში საქართველოს მასშტაბით მე-5 ადგილზეა

IBSU ვებომეტრიქსის რეიტინგში საქართველოს მასშტაბით მე-5 ადგილზეა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი #ვებომეტრიქსის რეიტინგში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის მე-5 ადგილზეა.

ვებომეტრიქსი მსოფლიოში მოქმედ ყველა აკრედიტებულ უნივერსიტეტს გავლენის, ღია წვდომისა და წარმატების მაჩვენებელთა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ამიერკავკასიის რეიტინგში მე-10 ადგილზეა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, ხოლო საქართველოს მასშტაბით მეორეა კერძო უნივერსიტეტებს შორის.

IBSU-ს სტუდენტებმა სოფელ სნოს სკოლას წიგნები გაჩუქეს

ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოს სკოლას IBSU-ში მოგროვებული წიგნები გადასცეს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა და პედაგოგებმა. სასწავლო ექსპედიციას კურირებდა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მოწვეული ლექტორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია, რომელმაც საგნების „ფოტოჟურნალისტიკისა“ და „სოციალური საკითხების“ სტუდენტები მაღალმთიანი რეგიონის პრობლემატიკის გასაცნობადწაიყვანა.ვიზიტისფარგლებში სტუდენტებმა ჩაწერეს აუდიო და ვიდეო ინტერვიუები, გადაიღეს ფოტოები და შეაგროვეს მასალები სიუჟეტებისათვის. ვაჟა-ფშაველას სახელობის სნოს საჯარო სკოლა 1902 წელს დაარსდა. მიმდებარე სოფლებში ახალაშენებული საჯარო და კერძო სკოლებიც ფუნქციონირებს, თუმცა სნოს სკოლას პედაგოგებისა და მოსწავლეების ერთგული კონტიგენტი ჰყავს, რომლებიც ინარჩუნებენ ყაზბეგის რაიონში მდებარე უძველეს სასწავლო დაწესებულებას.

ინტერვიუ IBSU-ს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელთან, ასოცირებულ პროფესორთან მაია ჩქოტუასთან

გიორგი ერაძე

საქართველოს ბაზარზე IBSU-ს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა არის განსხვავებული და გამორჩეული “- ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელთან, ასოცირებულ პროფესორთან, ქალბატონ მაია ჩქოტუასთან.

-რას მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა და რა არის მისი მიზანი?

IBSU-ში ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა არის განსხვავებული და გამორჩეული საქართველოს ბაზარზე, რადგან ის არის სრულიად ინგლისურენოვანი, რაც გამოარჩევს მას. პროგრამა მოიცავს დარგის ფართო ცოდნას, რომელიც მოიაზრებს თეორიულ ცოდნას და ასევე სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ ცოდნას ინგლისურ ენაში. აღსანიშნავია, რომ აბიტურიენტმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა კარგად, რომ ამ პროგრამაზე შეძლოს სწავლა, ხოლო სტუდენტები, რომლებიც დაამთავრებენ სწავლას ამ პროგრამაზე ისინი უნივერსიტეტიდან წავლენ ინგლისური ენის სიღრმისეული ცოდნით.

-თქვენ ახსენეთ თეორიული ცოდნა, თუ შეგიძლიათ გვითხრათ რას მოიაზრებს ეს თეორიული ცოდნა?

რაც შეეხება თეორიულ ასპექტებს, ინგლისური ფილოლოგია მოიცავს სხვადასხვა თეორიების გააზრებას კრიტიკულად, ლიტერატურის ისტორიის და კულტურის ფართოდ ცოდნას, რაც სტუდენტს დაეხმარება წარმატების მიღწევაში და დასაქმებაში.

-რა აქვს განსხვავებული IBSU-ში ინგლისური ფილოლოგიის პროგრამას სხვა უნივერსიტეტებისგან?

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ,ეს არის ერთადერთი პროგრამა, სადაც ინტეგრირებულია ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების პროგრამაც, რაც სურვილის შემთხვევაში საშუალებას აძლევს დაინტერესებულ სტუდენტს, აიღოს ეს დამატებითი პროგრამა და შემდგომ კურსის დასრულების შემდეგ, მას გადაეცემა სერტიფიკატი და საბოლოოდ სტუდენტს ექნება ორი პროგრამა დახურული. ასევე ის სტუდენტები, რომლებიც გაივლიან ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების პროგრამას შესაძლებლობა ექნებათ დაკავდნენ სხვადასხვა სტაჟირების პროგრამებით.

-როგორია ინგლისური ფილოლოგიის გუნდი IBSU-ში?

რა თქმა უნდა, საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური გუნდი გვყავს,პროგრამაში არიან, როგორც ადგილობრივი ლექტორები, ასევე უცხოელი ლექტორები. ამჟამად 4 ამერიკელი პროფესორია ჩართული სწავლების პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ თითქმის ყოველ წელს გვყავს ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროგრამით ინგლისური ენის სპეციალისტი, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს ჩვენს სტუდენტებს. რაც მთავარია სტუდენტის მოტივაციის ასამაღლებლად ლექტორების დამოკიდებულება მათ მიმართ არის მეგობრული.

-სთავაზობს თუ არა ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა სტუდენტს გაცვლით პროგრამებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში?

ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან, რომელიც ჩართულია ამ პროცესში და გაცვლითი პროგრამის გამოცხადების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაემგზავრონ სასწავლებლად ევროპის უნივერსიტეტებში დაინტერესება დიდია,უკვე იყვნენ ჩვენი პროგრამით წასული საზღვარგარეთ სტუდენტები და ახლაც რამდენიმე მათგანს აქვს შეტანილი განაცხადი და ვფიქრობ რომ ეს დაკმაყოფილდება.

ფარნების ფესტივალი“ IBSU-ში

მარიამ კიპაროიძე

2023 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში “Asian Culture Club/აზიის კულტულის კლუბი დაარსდა. კლუბის დაარსების მიზანია საინტერესო ივენთების, საგანმანათლებლო პროექტებისა და სახალისო თამაშების დანერგვით სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა გაეცნონაზიურტრადიციებს,ისტორიას, ხელოვნებას და სამზარეულოს. „აზიის კლუბის“ გუნდის ინიციატივით, 15 ივნისს - „ფარნების ფესტივალი“ გაიმართა უნივერსიტეტის სივრცეში. საღამოს 6 საათიდან - 9 საათამდე, ჩატარდა ვიქტორინა, მოეწყო ჩინური წარმოშობის სამაგიდო თამაშის - „გო“ მასტერკლასი, სათამაშო კუთხეები, მინი აკუსტიკური კონცერტი , საღამოს დასასრულს კი სტუდენტებმა იბსუს ცაზე გაუშვეს ფრანები.

„ვფიქრობ, აზიის შედარებით უფრო პატარა ქვეყნები, სოციუმში საკმარისად არ არიან წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს აზიური ქვეყნები ახალგაზრდებში ძალიან პოპულარული გახდა, ცნობიერება მაინც დაბალია მათი კულტურისა თუ ტრადიციებისადმი“ - აზიის კლუბის წევრი ანასტასია ამირიძე.

„კლუბის დაარსებიდან ჩვენ უკვე ჩავატარეთ 2 ფესტივალი: IBSU Summer Music Festival, რომელიც უნივერსიტეტის სხვა კლუბებთან კოლაბორაციის ფარგლებში ჩატარდა, და ჩვენი ცალკეული ივენთი ფარნების ფესტივალი, ასევე კლუბის გახსნითი ღონისძიება და IBSU Movie Night-ი სადაც ჩვენმა სტუდენტებმა ნახეს ფილმი სახელად “Train To Busan”. ვფიქრობ, მათ შორის ყველაზე გამორჩეული “ფარნების ფესტივალი” იყო, გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად ეს ჩვენი კლუბის ყველაზე მაშტაბური პროექტი გახლავთ.“ - გვიყვება კლუბის ხელმძღვანელი თეკლა მამფორია.

რა ხდებოდა ფესტივალზე ?

ფარნების ფესტივალის საღამომ წარმატებით ჩაიარა. სტუმრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას როგორც შემეცნებით, ისე გასართობ სივრცეებში.

„მოხარული ვარ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მრავალფეროვან აქტივობებს გვთავაზობს ყოველ ჯერზე. სასიამოვნო, მყუდრო და მეგობრული გარემო იყო, მასტერკლასები და სიმღერებიც ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ხნით ხელების მოხატვის პროცესი“ - ფესტივალის სტუმარი ეთა სულუხია.

ორგანიზატორის თეკლა მამფორიას შთაბეჭდილება - „ვფიქრობთ, რომ ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა. მოლოდინები ღონისძიების მიმართ დიდი იყო, გამომდინარე იქედან რომ დავგეგმეთ სხვადასხვა ტიპის აქტივობები, როგორიცაა ჰენას და გოს მასტერკლასი, ვიქტორინა, მინი თამაშები, აკუსტიკური კონცერტი და რა თქმა უნდა ფარნების გაშვება. შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალმა ჩვენი მოლოდინი გაამართლა. ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი იყო ის რომ, იმაზე მეტად ქარიანი ამინდი დაგვემთხვა ვიდრე ველოდებოდით, თუმცა მოვახერხეთ ადაპტაცია და შედეგად იმედი გვაქვს რომ ფესტივალი ყველა მონაწილისთვის დაუვიწყარი გავხადოთ.

კლუბის სამომავლო გეგმები

„მომავალში არაერთ საინტერესო აქტივობის შემოთავაზებას ვგეგმავთ, როგორიცაა არაერთი აზიური ფილმის კინოჩვენება ,კონფერენციები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, ქვიზები და სხვა გასართობი აქტივობები, მართალია დეტალებს ჯერ ვერ გაგაცნობთ მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ ერთერთი ყველაზე საინტერესო და მულტიკულტურული სემესტრი გველოდება შემდეგ წელს“- თეკლა მამფორია.

აზიური კლუბი სულ 12 წევრისგან შედგება. ესენია : პრეზიდენტი თეკლა მამფორია. წევრები - საბრი იაკუთი, ანა მამფორია, ტრისტან უტიაშვილი, საბა მანჯგალაძე, თამარ კალაბეგაშვილი, გიორგი ხუბუა, თაკო გოგია, ანასტასია ამირიძე, დათა ქემერთელიძე, თაკო უტიაშვილი და სალი.

რა არის ფარნების ფეტივალი ?

დღესასწაული , ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში ტაილანდში წარმოიშვა. ტაილანდელებისთვის ქაღალდის ფარნების ღამით ცაში გაშვება ესთეტიურ სილამაზესთან ერთად , ღრმა მნიშვნელობის რიტუალია. მათ გულწრფელად სჯერათ, რომ ფარნების გაშვების პროცესში ისინი სულს წმენდენ, ამტკიცებენ ოჯახურ კავშირებს და შეუძლიათ აღადგინონ გაცვეთილი სასიყვარულო გრძნობები .

ფარნების სანახაობრივი ფესტივალი ჩინეთში - ყოველწლიური ტრადიციაა, რომლითაც აღმოსავლური ახალი წელი სრულდება. მილიონობით ჩინელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან სამშობლოში

ბრუნდება,რათა დღესასწაული ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროს და მონაწილეობა მიიღოს კარნავალებში, მსხვეელობებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში. ახალი წლის დადგომას ჩინეთში, ორი კვირის განმავლობაში აღნიშნავენ. მთელი ეს დრო ქვეყანაში იმართება მასკარადები და ბაზრობები. ფარნების ფესტივალი - ეს დღესასწაულის დასკვნითი ეტაპია, და მისი ყველაზე ნათელი და სანახაობრივი ნაწილიც. ხალხური თქმულებების თანახმად, პეტარდების აფეთქების ხმა ბოროტ სულებს აფრთხობს.

ეს ფესტივალი პირველად ჰანის დინასტიის დროს გაჩნდა,სადაც ბუდას საპატივცემულოდ ანთებდნენ ფარნებს.

კულტურების შეჯახება

კულტურათაშორისი სწავლება - განსხვავებული ერის წარმომადგენლებს ერთმანეთთან ამეგობრებს. მრავალწლიანი დაკვირვებით, ურთიერთპატივისცემის უნარის გაჩენისთვის, გადამწყვეტ როლს თამაშობს კულტურებს შორის იდეოლოგიის ფუნდამენტური სხვაობების გააზრება და გაცნობიერება. იმგვარი ღონისძიებების დანერგვა , რომელიც კაცობრიობას სიმშვიდისა და თანამეგობრობისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს სასურველია დამკვიდრდეს ჩვენს ქვეყანაშიც. უნდა აღინიშნოს რომ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თვითმართველობას ამ საქმისთვის დიდი წვლილი მიუძღვის.

როგორ ირჩევენ ჟურნალისტიკის პროგრამაზე სტუდენტები საგნებს?

ანა გლოველი

როგორ ირჩევენ ჟურნალისტიკის პროგრამაზე სტუდენტები საგნებს? პროგრამა შედგება არჩევითი და სავალდებულო საგნებისგან .სავალდებულო საგანი უნდა აირჩიოს ყველამ, რადგან სავალდებულო საგანი გადის კომპეტენციებზე, რაც სჭირდება რეპორტიორს. არჩევით საგნებს კი სურვილისამებრ ირჩევენ. ჩვენ ვთავაზობთ, როგორც ზოგადი განათლების გამაძლიერებელ საგნებს, როგორებიცაა ფილოსოფია, კუკტურულოგია და სხვა.... მესამე კურსიდან ვთავაზობთ დარგობრივ საგნებს მაგალითად: ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხების გაშუქება, საგამოძიებო ჟურნალისტიკა კონფლიქტის გაშუქება, ფოტოჟურნალისტიკა,რეკლამადამედია, მოკლედ, მრავალფეროვანი არჩევითი საგნები გვაქვს და სტუდენტს აქვს საშუალება თავისი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიოს მისთვის საინტერესო საგანი. **რამდენ საგანს ასწავლიან? რამდენი კრედიტია დასაფარი. რამდენია სავალდებულო და არჩევითი.** 240 კრედიტი უნდა აიღოს სტუდენტმა, რომ მას ჰქონდეს ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ამ 240 კრედიტიდან ჩვენი პროგრამის სტრუქტურის მიხედვით 125 კრედიტი სავალდებულო საგნებს უჭირავთ, 60 კრედიტი არის ე. გ თავისუფალი კრედიტი, ხოლო 35 კრედიტი არის პროფესიული საგნები. **როგორია საგამოცდო სისტემა.** საგამოცდო სისტემა საკმაოდ მოქნილი გვაქვს. პირველი კურსის საგნები ძირითადადტესტურადბარდება,რადგან პირველ კურსელისთვის გარდამავალი პერიოდია, ვინაიდან,სკოლა ახალი დამთავრებული აქვს და უნდა მიეჩვიოს საუნივერსიტეტო ცხოვრებას. მეორე კურსიდან კი, როდესაც პრაქტიკული საგნები შემოდის აქ უკვე ქმნიან ჟურნალისტურ პროდუქტს და გამოცდებიც მეტად პროდუქტიული, დატვირთულია იქნება ეს გაზეთი, ჟურნალი, ახალი მედიის პროექტი, სატელევიზიო გადაცემა, რადიო და ს ხ ვ ა . . . **გაცვლით პროგრამებზე რას გვეტყვით?** ჩვენს უნივერსიტეტს აქვს 70 ევროპულ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი ურთიერთ-თანამშრომლობის და როდესაც მათ აქვთ ვაკანსიები, ისინი აცხადებენ, თუ რამდენი ადგილი აქვთ და ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი ამ ინფორმაციას ავრცელებს თავის ვებ გვერდზე, რათა ყველა სტუდენტი გაეცნოს. უცხოეთში წასასვლელად აუცილებელია ინგლისურის ენის კარგად ცოდნა და მაღალი ჯიპიეი, სხვანაირად სტუდენტი წასვლას ვერ შეძლებს. ასევე ყურადღება ექცევა იმას, რომ სტუდენტი უნდა იყოს ჩართული სოციალურ აქტივობებში, ინტერგრირებული უნდა იყოს ჩვენს უნივერსიტეტთან. **რამდენად აქვთ სტუდენტებს სწავლის შემდგომ დასაქმების შესაძლებლობა?** დასაქმების ალტერნატივა აქვთ სტუდენტებს, რადგან ჩვენი კურსდამთავრებულები მარტო მედია ორგანიზაციებში არ საქმდებიან, საქმდებიან ასევე კომერციული და საჯარო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტებში, საქმდებიან მარკეტიკულ განყოფილებებში კონტენტ მეიქერებად.

ერთი სტუდენტი მყავდა, რომელსაც არ სურდა მედიაში მუშაობა, რადგან სპეციალურ პლატფორმაზე წერდა რესტორნების შეფასებას. რაც მთავარია, მოსწონდა თავის საქმე და ჰქონდა ნორმალური ანაზღაურებაც. კარგი ის არის რომ ჩვენი კურსდამთავრებულები ბევრგან საქმდებიან,ამისმრავალფეროვნებააქვთ. **რატომ იბსუ-ს ჟურნალისტიკა და არა სხვა უნივერაიტეტი?** იბსუს ჟურნალისტიკა იმიტომ, რომ ჩვენთან ასწავლიან კვალიფიციური პროფესიონალები. ჩვენთან არის ოპტიმალური შეზავება. ძალიან ბევრი მოწვეული პრაქტიკოსი ასწავლის ჩვენთან და ეს გვეხმარება, რომ შევინარჩუნოთ კავშირი თანამედროვე ბაზართან. ამიტომ ჩვენს სტუდენტებს ეს პრივილეგია ნამდვილად აქვთ, რაც ბევრ უნივერსიტეტში ნამდვილად არ არის. გარდა ამისა, გვაქვს კარგი ინფრასტრუქტურულიხელშეწყობა.არის სასიამოვნო გარემო, ჟურნალისტიკისა და მედიის მიმართულების პროგრამებს აქვს კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები და აქვთ სტუდენტებს საშუალება ტექნიკასთან ჰქონდეთ მჭიდრო კავშირი, რაც ბევრგან არ არის საქართველოში.

ამერიკისმცოდნეობა, მისი სპეციფიკა და გამოყენების სფეროები

ანა გლოველი

,,ამერიკისმცოდნეობა არ არის საგანი, ეს არის ჩვენს მიერ გახსნილი, პირველად საქართველოში ერთადერთი ინგლისურენოვანი ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტი.'' აცხადებს ამერიკისმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელი ქალბატონი თამარ შიოშვილი.

დღესდღეობით, ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებში უამრავი ფაკულტეტი არსებობს, რომლის გამოყენება და მისი რეალიზება მარტივად არის შესაძლებელი და ერთ-ერთი პერსპექტიული ფაკულტეტი სწორედ, რომ ამერიკისმცოდნეობაა, რომელსაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ინგლისურ ენაზე ასწავლიან. პროგრამა აძლევს შანსს, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებს მიიღონ უმაღლესი დონის დასავლური ტიპის მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული განათლება ამერიკის შეერთებული

შტატების შესახებ. ამ საგნის ირგვლივ გაერთიანებულია უამრავი საგანი, რომლებსაც სტუდენტები გადიან, ესენია: **ქალთა საკითხები, ეკონომიკა, ამერიკის ისტორია, პოლიტიკა და ა.შ...** ამ პროგრამაში სულ სხვადასხვა სფეროს საგნებია თავმოყრილი, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას, იქონიონ ზოგადი განათლება, რაც მათ კიდევ უფრო წინ წაწევთ და მოუტანთ დიდ წარმატებას.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ პროგრაში მეორადი სპეციალობაცაა შეტანილი. ეს არის მთარგმნელ-მცოდნეობა, ამერიკის პოპ კულტურა და პიარი. დამთავრებისას ფაქტობრივად , ისინი ორ სპეციალობას ეუფლებიან. დიპლომში კი ეწერებათ ამერიკის მცოდნეობის ექსპერტი.

პროგრამა უქმნის სტუდენტს ყველა პირობას აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის ,ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა: **კულტურის დეპარტამენტები, საელჩოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, უცხოური კომპანიები, ბანკები და სხვა...** ,, დასაქმების მხრივ, დიდი პერსპექტივა აქვთ სტუდენტებს. ვინაიდან ,ისინი სხვადასხვა სფეროს გადიან , სწავლობენ სხვადასხვა საგანს ინგლისურ ენაზე. იმატებს ენის ცოდნაც, რადგან მათ უკვე იციან უამრავი ტერმინი პოლიტიკიდან,კულტურიდან, ლიტერატურიდან, ბიზნესიდან, რაც კიდევ უფრო პერსპექტიულია, რადგან როდესაც ენას კარგად ფლობ ,შენ უკვე აღწევ წარმატებას. ამას ემატება თარჯიმან მცოდნეობა ან პიარი. მათი განათლების დიაპაზონი ძალიან დიდია. როცა სტუდენტი ბაკალავრს ამთავრებს, ის უკვე მაღალი დონის სპეციალისტია და 99% საქმდება" აცხადებს ქალბატონი თამარ შიოშვილი.

რაც შეეხება გაცვლით პროგრამებს, უნივერსიტეტს აქვს ამგვარი პროგრამები, რისი წყალობითაც სტუდენტები კიდევ უფრო კარგად ეუფლებიან საგანს. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება წავიდნენ უნგრეთში,ბუდაპეშტში,ვაშინგტონში.... 2008 წლიდან 2012 წლამდე 20 სტუდენტი გააგზავნეს ვაშინგტონის უნივერსიტეტში, სადაც კიდევ უფრო გაიღრმავეს ცოდნა. როგორც უკვე ვთქვით ამერიკისმცოდნეობა სხვა უნივერსიტეტშიც ისწავლება, თუმცა, ამის მხრივ შავი ზღვის უნივერსიტეტი სარგებლობს გარკვეული პრივილეგიით. ,, ჩვენი უნივერსიტეტის პრივილეგია არის ის, რომ მხოლოდ ჩვენთან არის ინგლისურენოვანი ამერიკისმცოდნეობა. დასაქმების პრივილეგიაც გვაქვს, მარტივად აგრძელებენ მაგისტრატურას და კიდევ უფრო მარტივად საქმდებიან" როგორც ქალბატონმა თამარმა თქვა მთელი ლიტერატურა გადმოსცა შავი ზღვის უნივერსიტეტს საელჩომ, მთელი თავისი ბიბლიოთეკა. ფაქტობრივად მთელი ლიტერატურა ამერიკიდანაა. გამომდინარე ამ ყველაფრიდან, მეტად აშკარაა, რომ ამერიკისმცოდნეობა პერსპექტიულია ყველა მხრივ, მითუმეტეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სადაც დაგხვდებიან კვალიფიციური ლექტორები.

IBSU-ს გუნდი ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესის ფინალური შეჯიბრების გამარჯვებულია!

სტუდენტური კონკურსის ფინალში მონაწილეობა საუკეთესო შედეგის მქონე რვა გუნდმა მიიღო. შეჯიბრების გამარჯვებული გახდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი თამარ ბლიაძის, მარიამ მღებრიშვილის, მანანა გაჩეჩილაძისა და ბიჭიკო დეკანოიას შემადგენლობით. იმიტირებული პროცესის საუკეთესო გამომსვლელად კი მარიამ მღებრიშვილი დასახელდა. გუნდს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ დ ა პროფესორი დავით გეფერიძე.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბექა ძამაშვილმა გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები – სასწავლო ლიტერატურა ევროკავშირის სამართლის შესახებ გადასცა; კონკურსის ყველა მონაწილემ კი, სპეციალური სერტიფიკატი მიიღო.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ესპანეთის შუა ატლანტიკურ უნივერსიტეტს შორის ERASMUS+ KA107-ი ხელშეკრულება გაფორმდა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ესპანეთის შუა ატლანტიკურ უნივერსიტეტს შორის Erasmus+ KA107-ის ხელშეკრულება გაფორმდა. IBSU და შუა ატლანტიკური უნივერსიტეტი ერთობლივად განახორციელებენ ერაზმუს+ -ის პროექტებს და უზრუნველყოფენ პერსონალისა და სტუდენტების მობილობის საკითხებს.

IBSU-ს სამართლის სტუდენტების მორიგი წარმატება

IBSU-ს სამართლის სტუდენტები, მანჩოგაჩეჩილაძედაბაჩოდეკანოია "ჭავჭავაძის ადვოკატირებისა და პროფესიული ეთიკის შეჯიბრი სტუდენტებისთვის 2023-ის" გამარჯვებულები არიან!

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი "იბსუ" დიპლომითა და "ოქროს ფარით" დაჯილდოვდა. "იბსუმ" ჯილდო ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორული ანსამბლების მე-15 რესპუბლიკურ ფესტივალში მონაწილეობისთვისა და საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის მიიღო.

სპორტსიახლენი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ლუკა ცარციძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არაერთი სპორტული კლუბი ფუნქციონირებს, რომელთა ერთ-ერთ დადებით მხარეს, აკადემიურ ცხოვრებასთან ერთად აქტიური სოციალური ცხოვრება წარმოადგენს, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კლუბებისა და საზოგადოებების ოფისი, რომელსაც იაშარ აქიუზი ხელმძღვანელობს, აღნიშნული კლუბები უნივერსიტეტის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დაკავდნენ სპორტითა და საგანმანათლებლო აქტივობებით, წარმოაჩინონ საკუთარი თავი შიდა ტურნირებზე და მოიპოვონ შანსი წარადგინონ უნივერსიტეტი ყოველწლიურ უნივერსიადაზე.

როგორც აქტივობების სამსახურის ოფისის ხელმძღვანელმა, იაშარ აქიუზმა განაცხადა, სპორტულ კლუბებს შორის გამორჩეულია ფეხბურთისა და კალათბურთის გუნდი, რომლებიც გარკვეულ წარმატებებს აღწევენ, როგორც შიდა ტურნირებზე, ასევე უნივერსიადებზე, ამასთან ერთად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი წელს ჩაერთო „მასტერ ლიგის“ ტურნირზე, სადაც პირველი თამაშის ანგარიშით 2:1 მოგება შეძლო და B ჯგუფში, სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზე გავიდა, შემდეგ თამაშში კი „გრანთ თორთონის გუნდს“ 5:1 მოუგო და სამი ქულა მოიპოვა.

„მასტერლიგაზე ამ ეტაპისთვის 6 თამაში გვაქვს ჩატარებული და მეხუთე ადგილს ვიკავებთ ჩამორჩენა ლიდერებთან კი მინიმალურია წინ კიდე ბევრი მატჩი გვაქვს ჩასატარებელი და ჩვენი გუნდი მაქსიმალურად ეცდება წარმატების მიღწევას. მიზნად გვაქვს ტოპ 3 გუნდში შესვლა და მეორე ლიგაში აღზევება“, - აცხადებს IBSU-ს ფეხბურთის გუნდის კაპიტანი, ლუკა ჯმუხაძე.

ამჟამად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიმდინარეობს ფეხბურთის შიდა ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობას 8 გუნდი კონკურენტუნარიან გარემოში იღებს, შიდა ჩემპიონატის შემდეგ გაიმართება IBSU-ს თასის ჩემპიონატი,



სადაც გამარჯვებული გუნდი, შიდა ჩემპიონატში გამარჯვებულ გუნდს IBSU-ს სუპერ თასისთვის დაუპირისპირდება.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბოლო ორი თვის მანძილზე იბსუ-ს შიდა საფეხბურთო ლიგის მიმდინარეობასთან ერთად სხვადასხვა სპორტული ტურნირები ჩატარდა

• 10 მარტს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის Game Room-ში ჩატარდა იბსუ-ს ჭადრაკის ტურნირი სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები და მოჭადრაკეები, რომლებიც წარადგენენ იბსუ-ს უნივერსიადაზე.

• 23 მარტს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის Game Room-ში ჩატარდა ნარდისა და დამკის ტურნირები, სადაც გამოვლინდნენ უნივერსიტეტის საუკეთესო მოთამაშეები.

• 8 აპრილს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის Game Room-ში ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, სადაც გამოვლინდნენ უნივერსიტეტის საუკეთესო მოთამაშეები, რომლებიც მომავალ უნივერსიადაზე წარადგენენ უნივერსიტეტს.

• აღსანიშნავია, რომ სამაგიდო თამაშის შაშის (დამკის) უნივერსიტეტთა შორის ჩემპიონატში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა, ბაგრატ კაკაჩიამ შეძლო და პირველი ადგილი დაიკავა.

როგორც სპორტული კლუბების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ვახტანგ მანიამ განაცხადა, სტუდენტებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ ჩაერთონ სპორტულ აქტივობებში და გამოცადონ საკუთარი თავი ამა თუ იმ სპორტის მიმართულებით აქვს შესაძლებლობა შეუერთდნენ უნივერსიტეტში არსებულ გუნდებს ან მეტიც დაარეგისტრირონ საკუთარი გუნდი.

სტუდენტური კლუბების ინფორმაციისა და სიახლეების ნახვა დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ, როგორც ვებ-გვერდზე : sport.ibsu.edu.ge / clubs.ibsu.edu.ge, ასევე Facebook გვერდზე IBSU Sport.

ინტერვიუ ციფრული მედიისა და კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელთან - დალი ოსეფაშვილთან

სოფო ლოლაძე

-გამარჯობა,ქალბატონო დალი. პირველ რიგში მადლობა,რომ დამთანხმდით ინტერვიუზე,როგორც ვიცი თქვენ ხართ-ციფრული მედია და კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი. თქვენთან მაქვს რამდენიმე შეკითხვა ამ პროგრამასთან დაკავშირებით.

რას მოიცავს ქართულენოვანი პროგრამა და რა არის მისი მთავარი მიზანი?

-ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანია,ერთი მხრივ, მედიის გაძლიერებულად,გაღრმავებულად სწავლება,მეორემხრივ,კომუნიკაციების სწავლება,სტრატეგიულიკომუნიკაციის სწავლება.გარდა ამისა,მესამე ბლოკში ვასწავლით ტექნოლოგიებსაც ვგულისხმობ,პროგრამირების ნაწილს,ვასწავლით ვებ-პროგრამირებას,სრულიად ახალ უნარჩვევებს იძენენ მაგისტრანტები და გარდა ამისა ვასწავლით ციფრულ მედიას,ამ ბლოკში შემოდის ისეთი კურსები,როგორიცაა:ციფრული ამბის ხერხები,ციფრული ამბის თხრობა,რაც შეეხება კომუნიკაციების ნაწილს,ვასწავლით,როგორც სოციალურ მედია ანალიტიკას,სოციალურ მედია სტრატეგიებს/კამპანიებს და კრეატივს პიარში.შეიძლება ითქვას,რომ საკმაოდ ფართოა პროგრამის არეალი,მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრებს ვამზადებთ და ისინი მრავალმხრივი ცოდნით და უნარით არიან გამოცდილები,ეს უნარები კი მათ გამოადგებათ,არა მხოლოდ,ქართულ რეალობაში დასაქმებისთვის,არამედ,პროგრამის სწავლის შედეგები თავსებადია,უცხოურ შრომის ბაზართან,რადგან დღეს თანამედროვე მედია ციფრული გახდა. ქართულ რეალობაში ჩვენ ვიყავით პირველი სამაგისტრო პროგრამა,ვინც დავნერგეთ ციფრული მედიის პროგრამა.ეს მოხდა ორი წლის წინ და ამერიკის საელჩოს,ქართული მედია/განათლების პროგრამის ფარგლებში,როდესაც ამერიკულ განათლებას გავეცანით,ჩიკაგოს სკოლებში და სწორედ მაშინ გამიჩნდა იდეა,რომ იბსუ-ში დამენერგა ასეთი სამაგისტრო პროგრამა,შემდეგ უკვე სხვა უნივერსიტეტებმაც დაიწყეს ამაზე მუშაობა. ჩვენი პროგრამის პლუსი არის ის ,რომ პროგრამაში ჩართული არიან,მაღალკვალიფიციური პერსონალი-პროფესორები და მოწვეული ლექტორები,ძირითადად პრაქტიკოსები უძღვებიან ამ კურსებს.

-რამდენად დატვირთულია ეს პროგრამა პრაქტიკული სამუშაოებით?

-როგორც უკვე ვთქვი,ციფრული მედიის კურსებს უძღვებიან პრაქტიკოსი ლექტორები,კურსებიც ისეა აგებული,რომ მოიცავს პრაქტიკულ სწავლებას,საკმაოდ დიდია პრაქტიკული კომპონენტი,რათქმაუნდა თეორიულიც არის,რადგან სამაგისტრო საფეხური წარმოუდგენელია თეორიული სწავლების გარეშე,მაგრამ პრაქტიკული კომპონენტი უფრო ჭარბობს და გარდა იმისა,რომ კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი,ასევე,ცალკე 10 კრედიტიანი სტაჟირების კურსია,სადაც მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა,რომ სხვადასხვა მედიაორგანიზაციებში გაიარონ სტაჟირება,სოციალური მედიის მართვის მიმართულებით.

-როგორ ხდება საგნების არჩევა?

-საგნების არჩევას,რაც შეეხება ძირითადად სავალდებულო საგნებია,თუმცა ,რა თქმა უნდა გვაქვს არჩევითი საგნებიც,ამ ბლოკში წარმოდგენილია საკმაოდ საინტერესო კურსები.მაგალითად,არჩევითი კურსების ბლოკში გვაქვს ისეთი საგნები,როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და ალგორითმები, პითონი-შესავალი კურსი პითონში,გარდა ამ არჩევითი კურსებისა,რასაც ტექნიკურ ნაწილში გთავაზობთ,ასევე გვაქვს არჩევითი კურსები პიარის და კომუნიკაციის მიმართულებით და ასევე ციფრული მედიის მიმართულებითაც.

მოლდოვის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, ვიორიკა ლუპუ და მისი კოლეგა ინა ნიკუტა IBSU-ში

IBSU-ს სამეცნიერო პროექტების და ინოვაციების სამსახურის ორგანიზებით, უნივერსიტეტს ეწვია მოლდოვის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, ვიორიკა ლუპუ და მისი კოლეგა ინა ნიკუტა.

ვიორიკა ლუპუმ ჩაატარა ლექცია ღია მეცნიერების შესახებ, ასევე, ღია წვდომის საცავებისა და ღია წვდომის ჟურნალების მნიშვნელობასა და აქტუალურობაზე. ლექციის მერე გაიმართა დისკუსია და პრაქტიკული რჩევების გაზიარება/სწავლება.

ლექციას დაესწრნენ სკოლების დეკანები, ჟურნალების გამომცემლები და დაინტერესებული აკადემიური პერსონალი.

ასევე, მოლდოვის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და IBSU-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და დაიგეგმა თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით.

IBSU-მ ტურიზმის პროგრამის ასისტენტ-პროფესორს, ჩანდიგარის უნივერსიტეტის ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, სანდიპ გულერიას უმასპინძლა.

სანდიპ გულერიამ IBSU-ს ტურიზმის პროგრამის ლექტორებს გააცნო სწავლა/სწავლების მეთოდები და კურიკულუმის შემუშავების პრინციპები ჩანდიგარის უნივერსიტეტის მაგალითზე.

ვიზიტის ფარგლებში, მოწვეული სტუმარი შეხვდა IBSU-ს რექტორს, საფფეთ ბაირაქთუთანსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელს, მელიქ ალკანს.

სტუდენტური კლუბები IBSU-ში

სოფო ლოლაძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დიდი პოპულარობით სარგებლობს კლუბები, რომელთა მთავარი მიზანია,სტუდენტებს შეუწყონ ხელი უკეთეს განვითარებაში, განტვირთვასა და ლექციებს გარე აქტივობებში. იაშარ აქიუზი კლუბების ხელმძღვანელია, რომელიც ოცამდე კლუბს უწყობს ხელს,როგორც ტექნიკური ასევე ფინანსური გზით.

კლუბებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კულტურის მხრივ- „აზიის კლუბი“,ხოლო,განათლების მხრივ „ლინგო ქვესთის კლუბი“.როგორც იაშარ აქიუზი ამბობს,სტუდენტების აქტივობა დღითიდღე მატულობს და ამაში განსაკუთრებით ჩართულნი არიან პროგრამის პრეზიდენტები.“ჩვენი მთავარი მიზანია,სტუდენტებს შევუქმნათ ისეთი გარემო,რომელიც არა მარტო შემეცნებითი,არამედ საინტერესო და სახალისოც იქნება,სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, თითოეულ კლუბს აქვს დაგეგმილი სხვადასხვა ღონიძიებები და აქტივობები.მიუხედავად იმისა,რომ პანდემიამ სტუდენტთა აქტივობა შეამცირა,წლევანდელმა წელმა შედარებით გამოასწორა არსებული სიტუაცია და დღეს თამამად შეუძლია ყველა კლუბის პრეზიდენტმა თქვას,რომ საკმაოდ მაღალია აქტივობის მაჩვენებელი. იაშარის თქმით,ერთ-ერთი პოპულარული აზიის კულტურული კლუბია, რომელსაც ხელმძღვანელობს-თეკლა მამფორია. ბავშვობიდან დაინტერესებულია ამ სფეროთი და სურვილი აქვს უფრო მეტ ადამიანს გააცნოს აზიური კულტურა და ტრადიციები.მათი კლუბი უკვე ერთი წელია ფუნქციონირებს და დიდი მოწონებით სარგებლობს.სტუდენტები ერთვებიან სხვადასხვა ღონისძიებებში და ეცნობიან ახალ ამბებს აზიური კულტურის შესახებ.სამომავლოდ იგეგმება „ფარნების ფესტივალი“,სადაც იქნება როგორც ხნით ხატვის მასტერკლასი, ასევე გამოფენა,როგორც თეკლა მამფორია ამბობს:“აზიური კულტურის ერთ ასპექტში მოქცევა რთულია,თუმცა რაც თამამად შეიძლება ითქვას არის ის,რომ ძალიან ღრმაა,როგორც ტრადიცია, ასევე ისტორია,რომელიც საუკუნეებს ითვლის“.

განათლების კუთხით,დაარსებულია „ლინგო ქვესთის კლუბი“,რომლის პრეზიდენტია-ანა მარკოიძე.შექმნის დღიდან,კლუბისმთავარიმიზანიიყოის,რომ იბსუს სტუდენტებს უკეთესად გაეცნოთ ერთმანეთი. სტუდენტებს, რომლებსაც

აქვთ განსხვავებული მიმართულება და საერთო ინტერესები,სწორედ ლინგო ქვესთი აერთიანებთ მათ. კლუბი უკვე ერთ წელზე მეტია,რაც დაარსდა და აქტიურად არის თითოეული სტუდენტის ცხოვრებაში. კლუბის ფარგლებში მოწვეულნი იყვნენ,როგორც თარჯიმნები ასევე სხვადასხვა ქვეყნის ელჩები,რომლებმაც გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება კლუბში არსებულ სტუდენტებს.“ეს კლუბი ეხმარება სტუდენტებს,ინგლისური ენის კომპენტეციის გაუმჯობესებაში და არა მარტო,სამომავლოდ იგეგმება აქტივობები,რომელიც იქნება ფართო სპექტრის,სტუდენტებს ექნებათ საშუალება, გაიცნონ და შეისწავლონ მათთვის სასურველი ენები“- ამბობს კლუბის პრეზიდენტი- ანა მარკოიძე.

როგორც კლუბების ხელმძღვანელი ბატონი,იაშარ აქიუზი ამბობს:“ყველას აქვს საშუალება გაწევრიანდეს ან შექმნას საკუთარი კლუბი,რაც უფრო დიდია აქტიურობა და სტუდენტების ჩართულობა,დიდი შანსია,რომ ასეთმა კლუბებმა იბსუს გარეთაც მოიპოვონ წარმატება“

IBSU-მ საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაციის მიერ ორგანიზებული Street Art მასტერკლასსა და პრაქტიკულ ვორქშოპს უმასპინძლა.

ფედერაციის წევრებმა ვრცლად ისაუბრეს სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ქუჩის ხელოვნების ისტორიაზე, ფერთა თეორიაზე, ქუჩის ხელოვნების როლზე სხვადასხვა ეპოქაში და სხვ.

ვორქშოპის დასასრულს, სტუდენტებმა IBSU-ს კედელზე სტენსილები დახატეს.

თამარ ნარინდოშვილის საჯარო ლექცია IBSU-ში

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის ლექტორმა, თამარ ნარინდოშვილმა IBSU-ში საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: “კიბერუსაფრთხოება და დეზინფორმაცია, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევა”. თამარ ნარინდოშვილმა ვრცლად ისაუბრა კიბერსაფრთხეებზე, თავდაცვის მექანიზმებსა და ეფექტიანი კიბერუსაფრთხოების სისტემის მნიშვნელობაზე. ლექციის განმავლობაში ასევე მიმოიხილეს კიბერშეტევის ცნობილი მაგალითები.

თამარ ნარინდოშვილის საჯარო ლექცია IBSU-ში

IBSU-მ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციას უმასპინძლა, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოსა და გერმანიის უნივერსიტეტების წარმომადგენლები. წლევანდელი ღონისძიება, რომლის ორგანიზატორები იყვნენ IBSU, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, უფრო ფართომასშტაბიანი იყო. სტუდენტებმა საინტერესო პრეზენტაციები წარადგინეს და კონფერენციის დასასრულს სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

ინტერვიუ კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლის დეკანთან, თეა თოდუასთან

- რას მოიცავს კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლა ? რა არის პროგრამის მიზანი ?
კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლა ეს არის ახლად შექმნილი სკოლა, მოგეხსენებათ, რომ არსებობდა მანამდე ფაკულტეტის ცნება უნივერსიტეტში, იყო ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი და ეს ფაკულტეტი გაიყო შემდგომ და დარჩა ცალკე ბიზნესის სკოლა და ცალკე კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლა, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ფაქტობრივად ეს სკოლა მოიცავს კომპიუტერული მეცნიერების პროგრამებს, ცალკე გვაქვს ასევე არქიტექტურის პროგრამები. კომპიუტერული მეცნიერება დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ,ჩვენ გვაქვს, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამა

- არსებობს გავრცელებული მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ თუ პიროვნებას სურვილი აქვს, რომ შეისწავლოს კომპიუტერული მეცნიერებები, აუცილებელია მათემატიკური უნარი და განათლება, ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას ?
მათემატიკური და ლოგიკური აზროვნების უნარები არის აუცილებელი, არა მხოლოდ კომპიუტერული მეცნიერებისთვის, არამედ ნებისმიერი სხვა სფეროს წარმომადგენლისათვის, ამას გვერდს ვერ ავუვლით, თუმცა აქაც შეიძლება იყოს დოზები, რა დოზითაც შეიძლება იყოს საკმარისი იმისთვის, რომ გამოვიდეს კარგი სპეციალისტი თავისი დონით, ვიღაცას შეიძლება მეტი დოზით ჭირდებოდეს ეს უნარები, გააჩნია რა მიმართულებით მიდის ეს სტუდენტი, მაგალითისთვის თუ სტუდენტი სწავლობს კომპიუტერულ მეცნიერებებს WEB მიმართულებით, მას ნაკლებად სჭირდება მათემატიკისა და ფიზიკის ცოდნა, მაგრამ თუ სტუდენტი გადაწყვეტს, რომ სწავლა უფრო შორ პერსპექტივებში განიხილოს სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამებზე მას მათემატიკური უნარები რაღა თქმა უნდა დასჭირდება.

- რამდენად უწყობს უნივერსიტეტი ხელს, უნივერსიტეტში მოსულ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ, რომ შეიძინონ განათლება ამსფეროშიდარამდენადარისდატვირთული პროგრამა პრაქტიკული სამუშაოებით?
მუდმივად ვცდილობთ პრაქტიკული კუთხით დატვირთვას, პირველი, რაც გავაკეთე უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელის მოსვლის დღიდან, იყო ის, რომ რაღაც გარკვეული ცვლილებები შევიტანე სამაგისტრო პროგრამებში და გავაძლიერეთ თანამედროვე მიმართულებები, ვინაიდან არ არსებობს პროგრამირება და ინჟინერია ერთმანეთის გარეშე, მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი და ძალიან კარგი არის თუ ერთ ადამიანს ექნება გარკვეული ცოდნა ამ სფეროშიც და იმ სფეროშიც, დღეს პროგრამისტი, რომელიც მხოლოდკოდებსუყურებსეკრანზეშეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე ის, რომელსაც უფრო მეტი გაეგება და კოდებს მიღმა თუნდაც აპარატურას ხედავს.

- რას ურჩევდით იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ სწავლა განათლება ამ განხრით განაგრძონ და რატომ უნდა აირჩიონ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი?
კომპიუტერული მეცნიერება ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობაა, არის ძალიან საინტერესო და მუდმივად მზარდი და ახლის შემქმნელი, მინდა იმის თქმა, რომ ეს უფრო მეტი სტიმულია ახალგაზრდობისთვის, რომ ზუსტად იმ ეპიცენტრში მოხვდნენ, სადაც ახალი საქმე და აღმოჩენები კეთდება, ამიტომ უნდა ისწავლონ ეს პროფესია, რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ყველანაირი ხელშეწყობა ჰქონდეთ ჩვენ სტუდენტებს, როგორც მატერიალური ტექნიკური კუთხით, ასევე კვალიფიციური პროფესურის მხრით, ჩვენ მაქსიმალურად დიდი ყურადღებით ვაკვირდებით და ვარჩევთ ისეთ პროფესურას, რომელთაგანაც შესაძლებელი არის მაღალი დონის განათლების მიღება სტუდენტებისთვის.

- რა სავალდებულო საგნები უნდა გაიაროს სტუდენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აღნიშნულ კურსზე ჩასარიცხად?
უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება სახელმწიფოს მხრიდან დადგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია მათემატიკა ან და ფიზიკა, აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს უცხო ენებიდან ერთ-ერთი :ინგლისური, გერმანული, რუსული და ფრანგული.

ლუკა ცარციძე

“პირველი ნაბიჯები არქიტექტურაში”

ამ პროექტმა ბევრი რამ მასწავლა,იმაზე უკეთესი აღმოჩნდა ვიდრე მეგონა, ბევრი რაღაც აღმოვაჩინე ახალი და ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ, შენობას რომ დავინახავ აღვიქვამ, როგორ პერსპექტივაშია გაკეთებული - გვიყვება მე-10 კლასის მოსწავლე მარიამ გუჯაბიძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დაორგანიზებულ კურსში “პირველი ნაბიჯები არქიტექტურაში.

კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლის საბაკალავრო პროგრამის პროექტი, “ პირველი ნაბიჯი არქიტექტურაში”, მიზნად ისახავს 9,10,11 და მე- 12 კლასის მოსწავლეებისთვის არქიტექტურის პროფესიის საფუძვლების გაცნობას. პროექტი მათ ეხმარებათ გაიგონ დიზაინის საფეხურები კონცეფციიდან რეალიზაციამდე.

ამ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი საბა მანჯგალაძე გვიყვება, რომ “ჩვენს უნივერსიტეტში პირველი ნაბიჯები არქიტექტურაში უკვე 2 წელია რაც ფუნქციონირებს და პირველად კურსში მონაწილეობა მივიღე ამ სემესტრის დასაწყისში. პირველად ჩავატარე სქეჩინგი (არქიტექტურული ჩანახატი) რომელიც იყო სამ დღიანი და ბავშვებს ვასწავლეთ სქეჩინგის საფუძვლები ხოლო ამ ტრენინგზე ბავშვებს ვასწავლით როგორც სქეჩინგს ასევე არქიტექტურულ ხაზვას და მოდელირება ასვევე ამ ყველაფრის საწყის ეტაპებს, ტექნიკებს, რომელიც მნიშვნელოვანია. ამავდროულად ვაძლევთ რჩევებს და დავალებებს, რომლებიც ეხმარება მათ განავითარონ თავიანთი უნარ ჩვევები, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროექტში მონაწილეობას იღებს 50-ამდე მოსწავლე, რომლებიც დაყოფილები არიან სხვადახვა ჯგუფებად და ამ ჯგუფებში მათ ყავთ თავიანთი ტრენერები და ასისტენტები, რომლებიც აძლევენ რჩევებს თუ როგორ უნდა გააკეთონ არქიტექტურული ხაზვა და მოდელირება, ასევე ისინი სწავლობენ გუნდური მუშაობის პრინციპებს და ეს გუნდური მუშაობის პრინციპი გამოიხატება ასე, ჩვენს ჯგუფში არის 15 მოსწავლე ეს 15 მოსწავლე თავიანთი უნარჩვევების მიხედვით დავყავით სამ ჯგუფად, რომელშიც არის 5 მოსწავლე და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ იდეებს

და ჩანახატებს, რომლებიც მუშაობენ ერთ პროექტზე, ჩვენს შემთხვევაში კი ეს პროექტი არის პავილიონი”.

რაც შეეხება პროექტის მუშაობის პროცეს, ამ თემაზე, ჩვენთან საუბრობს ორგანიზატორი გიორგი ხუბუა, რომელიც ამბობს, რომ

“ ეტაპობრივად დავიწყეთ მუშაობა, გავიარეთ სქეჩინგი და მისი გავლის შემდეგ მოსწავლეებს მივეცით სახლში დავალებები, სახლში გაკეთებული დავალებები შემდგომ მოაქვთ ჩვენთან და ამ ჩანახატებს უკვე ჩვენ ვუსწორებთ, ვაძლევთ რჩევებს, რომ შემდგომ უფრო დახვეწონ და უკეთესი არქიტექტურული ჩანახატები გააკეთონ, ანალოგიურად იყო ხაზვაზეც და მოდელირება ჯერ არ დაგვიწყია, თუმცა რა თქმა უნდა მოდელირებაზეც ასე იქნება, ასევე კურსი მთლიანად არის 4 კვირა კვირაში სამი დღე და დღეში 3 საათი.

პროექტი, რომელიც უკვე რამდენჯერმე ჩატარდა ყავს ძალიან ბევრი კმაყოფილი მოსწავლეები, რომლებიც ამბობენ რომ განმეორების შემთხვევაში დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ მონაწილეობას

“ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან მომივიდა შეტყობინება, სადაც ეწერა, რომ უახლოეს პერიოდში იგეგმება პროექტი “ პირველი ნაბიჯი არქიტექტურაში” ძალიან დამაინტერესა, რადგან ერთი პერიოდი ვფიქრობდი არქიტექტურაზე, ეს პროექტი კი დამეხმარება რომ მივიღო საბოლოო გადაწყვეტილება მინდა თუ არა არქიტექტურა”- ამბობს მე-10 კლასის მოსწავლე სანდრო კუპატაძე.

პროექტი, რომელსაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები ატარებდნენ 5 ივნის დასრულდა.

თიკა ჭუმბურიძე

„სულ სხვა არის როდესაც, ვუმღერი ქართულ სიმღერას იმ ემიგრანტებს, რომლებიც მონატრებულნი არიან თავიანთ ქვეყანას“ – ინტერვიუ დოდონა ნამორაძესთან

ლუკა ამბალია

დოდონა, გვითხარი ცოტა რამ შენს შესახებ, ვინ არის დოდონა ნამორაძე?

დოდონა არის 22 წლის, ვსწავლობ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის ინგლისურენოვანი პროგრამის მეოთხე კურსზე. დავამთავრე ინგლისური სკოლა „ნინო“, მე-11 და მე-12 კლასი ვისწავლე საქართველოში, ხოლო მეექვსედან მეათე კლასის ჩათვლით ფილიპინებზე ვსწავლობდი.

საქართველოში რამდენინიმე კონკურსში მიიღე მონაწილეობა „ნიჭიერი“ “X-ფაქტორი“, როგორ ფიქრობ, რამდენად შანსიანი იყო და განვითარების რა პერსპექტივა მოგცა კონკურსებმა?

როდესაც გავიგემ პროექტ „X-ფაქტორი“-ის შესახებ, გადავწყვიტე, რომ მივსულიყავი კასტინგზე. გადავლახე შესარჩევი ეტაპი, მაგრამ ფაქტია, რომ გული დამწყდა, როდესაც არაფერი არ გამოვიდა ჩემი მთელი ცხოვრების ოცნებიდან. ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, აღარ მინდოდა სიმღერა „X ფაქტორი“-ში განცდილი მარცხის გამო, ამიტომ გადავწყვიტე სიმღერის შეწყვეტა. თუმცა, როგორც კი დამთავრდა პროექტი, წავედი ისრაელში, ფესტივალზე, სადაც იყო 200-ზე მეტი მონაწილე 12 სხვადასხვა ქვეყნიდან, ძალიან სერიოზული ჟიური იყო და იქ გავიმარჯვე. ეს იყო ჩემი პირველი გამარჯვება.

რაც შეეხება ნიჭიერს, 2021 წელს დამიკავშირნენ პროექტ „ნიჭიერი“-ზე მომუშავე ადამიანები . მაშინ გადავწყვიტე, რომ მიმეღო მონაწილეობა. ეს იყო პირველი ჩემი გამოსვლა, როდესაც საერთოდ არ მინერვიულია, ზუსტად ამ დღიდან მოყოლებული სცენაზე საერთოდ აღარ ვნერვიულობ.

შენს მაგალითზე ფიქრობ, რომ უცხოეთში ქართველი მომღერალი უფრო დაფასებულია, ვიდრე საქართველოში?

რა თქმა უნდა, ზუსტად იგივე ხმის ტემბრით და შესაძლებლობით, რაც მქონდა საქართველოში, წავედი ისრაელში, იქ გავიმარჯვე და საქართველოში კონკურსის მეორე ტურსაც ვერ გავცდი. რაც არ უნდა ვთქვა, ბოლოს მაინც იმ კითხვამდე მივდივართ: იქ თუ კი, აქ რატომ არა? თუ ქვეყნის გარეთ მაფასებენ, მიკავშირდებიან წამყვანი ხმის ჩამწერი სტუდიები, პროდიუსერები, რატომ არ ხდება იგივე საქართველოში?. ერთი და იგივე სახეები არიან ყოველთვის ტელევიზიაში და ახალი სახეები არ ჩანან. ეს იმ დროს, როდესაც გვყავს უმაგრესი და უძლიერესი ახალგაზრდა მომღერლები საქართველოში, მაგრამ არ ჩანან.

რატომ გადაწყვიტე, რომ გამხდარიყავი ქუჩის მუსიკოსი?

„X ფაქტორში“ განცდილი გულდაწყვეტის გამო. მე დავივიწყე კონკუსები და ვთქვი, რომ აღარ გამოვალ საქართველოში. სიმღერა მინდოდა, მაგრამ აღარ მინდოდა მემღერა კონკურსებში. ქუჩაში სიმღერა, ვინც მომღერალი არის ყველამ უნდა გამოსცადოს, ეს არის საოცარი გრძნობა.

რა გრძნობა დაგეუფლა, როდესაც ქუჩის მუსიკოსობიდან გადმოინაცვლე დიდ სცენაზე?

სიმართლე გითხრათ, თავიდან ძალიან არასასიამოვნო გრძნობა იყო. ქუჩაში უფრო დიდი თავისუფლება გაქვს და უცებ უნდა ჩახედო თვალებში ჟიურის, რომელიც შენ გაფასებს, მაშინ, როდესაც ქუჩაში არავინ არ გაფასებს, უბრალოდ მღერი, რაც გინდა იმას.

დიდ წარმატებას მიაღწიე ბერძნულ ვოისში, სადაც გახვედი მეორე ადგილზე, რატომ მაინცდამაინც ბერძნული ვოისი და ზოგადად, როგორ მოხვდი შესარჩევ კასტინგზე საბრძნეთში?

ძალიან ბევრი რამ დაემთხვა ჩემს ცხოვრებაში ერთმანეთს. საბერძნეთი ჩამესმოდა დღე და ღამე. ყველა პოსტი საბერძნეთზე მხვდებოდა. ბებიაჩემი, რომელიც 13 წელი მუშაობდა საბერძნეთში იშვიათად საუბრობდა საბერძნეთის შესახებ. ამ დროს კი მელაპარაკებოდა ხშირად. ძალიან დაემთხვა ეს ყველაფერი ერთმანეთს. მახსოვს, მიწურულს შევავსე აპლიკაცია და გავაგზავნე, შემდგომ, რამდენიმე დღეში დამიკავშირდნენ.

როგორია სხვა ქვეყნიდან გაგონილი ქართული მუსიკა?

როდესაც თესალონიკში მქონდა კონცერტი, სწორედ ეს ვთქვი, რომ სულ სხვა არის როდესაც, ვმღერი ქართულ სიმღერას უცხო ქვეყანაში, განსაკუთრებით ვუმღერი იმ ემიგრანტებს, რომლებიც მონატრებულნი არიან ქვეყანას, ეს სულ სხვა გრძნობაა, ვერავინ ვერ მოგანიჭებს ისეთ გრძნობას, როგორც ის ადამიანი, რომელიც გიმღერის ქართულად შენი ქვეყნის გარეთ.

რა შესაძლებლობები მოგცა ათენმა?

გავიაზრე, რომ თავი უნდა დავიფასო განსხვავებულად. ობიექტურად რომ ვუყურებ ჩემს თავს, არის რაღაც ძალიან იშვიათი ჩემს ხმაში. მე თუ არ დავაფასე ჩემი თავი, შემდგომ არავინ არ დაგიფასებს.

რას ელოდები შენი თავისგან, როგორც არტისტისგან?

ველოდები იმას, რომ დავტოვო რაღაც, რაც იქნება სულ, ამაზე ნაკლებს ჩემი თავისგან ვერ და არ ავიტან.

და ეს „რაღაც“ რა არის?

ეს არის ჩემი შემოქმედება, ჩემივე სიმღერები. დგება დღე მომღერლის ცხოვრებაში, როდესაც გინდა რომ შექმნა შენი სიმღერა, ეს დღეებიც ნელ-ნელა მოდის და აუცილებლად მალე იქნება.

რა გეგმები გაქვს სამომავლოდ? აპირებ თუ არა ალბომის გამოშვებას?

მქონდა შემოთავაზება საბერძნეთიდან, მემღერა სიმღერა და ჩამეწერა კლიპი, მაგრამ უარი ვთქვი, იმიტომ, რომ თუ მე დავწერ სიმღერას და გამოვუშვებ კლიპს, პირველი იქნება ეს ჩემთვის და პირველივე უნდა იყოს ისეთი, რომ ამით ვიამაყო მთელი ცხოვრება. ამას სჭირდება სერიოზული შრომა და ფინანსებიც. სამომავლოდ კი, ვგეგმავ კონცერტებს საზღვარგარეთ.

გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებმა

გაზეთი ეკუთვნის შპს “შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, ვრცელდება უფასოდ

+995 32 2595005
+995 32 2595008
contact@ibsu.edu.ge
ibsu.edu.ge

დავით აღმაშენებლის ხეივანი №-13 კმ.
თბილისი, საქართველო
0131

TV RADIO IBSU
INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY
IBSU Media Centre